

მართლმსაჯულება

საქართველოში

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია



საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

**მართლმსაჯულება
საქართველოში**

თბილისი
2010

ანგარიში მომზადებულია საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ პროექტის - “**დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარება კანონის უზენაესობის მხარდაჭერის გზით**” - ფარგლებში, National Endowment for Democracy (NED)-ის ფინანსური მხარდაჭერით



**National Endowment
for Democracy**

Supporting freedom around the world

**ავტორი: გიორგი ბურჯანაძე
თამარ ჩუგოშვილი**

რედაქტორი: ხათუნა ყვირაღაშვილი

ტექ. რედაქტორი: ირაკლი სვანიძე

გამოცემაზე პასუხისმგებელი: თამარ ხილაშვილი



აიწყო და დაკაბადონდა
საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში.
კახიძის ქ. 15 თბილისი 0102 საქართველო
(+995 32) 95 23 53, 93 61 01
ტირაჟი: 300 ც.

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება
კომერციული მიზნით, ასოციაციის წერილობითი ნებართვის გარეშე

შინაარსი

| | |
|--|----|
| შესავალი | 4 |
| სასამართლოს დამოუკიდებლობა | 5 |
| საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო | 5 |
| i. საბჭოს შემადგენლობა და ფორმირების წესი | 5 |
| ii. საბჭოს წევრების დამოუკიდებლობის გარანტიები | 6 |
| iii. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღება | 9 |
| iv. რეკომენდაცია | 11 |
| იუსტიციის მინისტრი, როგორც საქართველოს უზენაესი სასამართლოს პლენუმის წევრი | 12 |
| საერთო სასამართლოების მოსამართლეებთან კომუნიკაციის წესი და პრობლემები | 15 |
| მოსამართლეთათვის სხვა სასამართლოში უფლებამოსილების დაკისრება | 18 |
| საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სახელფასო უზრუნველყოფა | 25 |
| სასამართლოს საქმიანობის ხელშემშლელი პირობები | 28 |
| მოსამართლე, როგორც საჯარო მოხელე | 28 |
| სახელმძღვანელო პრინციპები და წინადადებები ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისთვის | 30 |
| სასამართლოს თავმჯდომარის როლი საერთო სასამართლოებში | 31 |
| მოსამართლეთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა | 34 |
| დასკვნა | 40 |

მართლმსაჯულება საქართველოში

შესავალი

საქართველოში სასამართლო სისტემის რეფორმის მიმდინარეობამ მრავალწლიანი და მრავალეტაპობრივი სახე მიიღო. ის ჯერ კიდევ „ვარდების რევოლუციამდე“ დაიწყო და მას შემდეგ რამდენჯერმე განახლდა. მიუხედავად მუდმივი „რეფორმირების პროცესისა“, საქართველოში მართლმსაჯულების სისტემის მიმართ საზოგადოების ნდობა კვლავ დაბალია. უკანასკნელ პერიოდში სასამართლო სისტემის გასაძლიერებლად არაერთი საკანონმდებლო ცვლილება განხორციელდა, თუმცა, საზოგადოების დამოკიდებულება სასამართლო სისტემის მიმართ რჩება კვლავაც ნეგატიური, სასამართლოს ეფექტურობა კი – საკმაოდ დაბალი. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კანონმდებლობა მართლმსაჯულების სფეროში პრინციპულად არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო სტანდარტებს, არსებობს არაერთი გარემოება, რომელიც სასამართლოს აღმასრულებელ ხელისუფლებაზე დამოკიდებულს ხდის, ხოლო, რაც ყველაზე სავალალოა, ხშირ შემთხვევაში სასამართლო საკუთარ უფლებამოსილებებსა და დამოუკიდებლობას თავადვე ზღუდავს და ავიწროვებს. სასამართლოს სისტემის მიმართ საზოგადოების ნდობის ხარისხზე ნეგატიურ გავლენას ახდენს სასამართლო სხდომების ვიდეო და აუდიო ჩანერის შეზღუდვაც, რომელიც 2007 წლის 11 ივლისს საქართველოს პარლამენტის გადამწყვეტილებით¹ დაინერგა. მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოების მხრიდან არაერთხელ დაფიქსირდა სასამართლო სხდომების ვიდეო და აუდიო ჩანაწერების განახლების მოთხოვნა, აღნიშნული საკითხი კვლავაც პრობლემატურად რჩება.

წარმოდგენილი ანგარიშით საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია შეეცადა, შეძლებისდაგვარად ამომწურავად შეესწავლა საქართველოს კანონმდებლობა, საერთაშორისო სტანდარტები, სასამართლო სისტემაში არსებული პრაქტიკული პრობლემები და, ყოველივე ამის საფუძველზე, გამოველინა ქართული სასამართლო სისტემის ხარვეზები.

ქვემოთ მოყვანილ ანგარიშში დეტალურად არის განხილული ყველა ის სასამართლებრივი გარემოება, რომელიც, ჩვენი აზრით, საქართველოში სასამართლო სისტემის ეფექტურ და მიუკერძოებელ ფუნქციონირებას უშლის ხელს. მათ შორის, განხილულია საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დაკომპლექტების და გადამწყვეტილების მიღების წესი; მოსამართლეებზე ზეგავლენის მოხდენის შესაძლო მეთოდები, როგორცაა: 1. საერთო სასამართლოების სისტემაში დამკვიდრებული ე.წ. „მოსმენების“ ინსტიტუტი; 2. მოსამართლეების სხვა სასამართლოებში მივლინების პრაქტიკა; 3. სასამართლო შინაგანაწესის პრობლემები და ა.შ.

ყურადსაღებია, რომ ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემები დამოუკიდებლად არ აღიქმება, როგორც განსაკუთრებული წინააღმდეგობები სასამართლო სისტემის

¹ საქართველოს პარლამენტმა 2007 წლის 11 ივლისს მიიღო ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ“, რომლის მიხედვით, სასამართლოს სხდომის დარბაზში ფოტო, ვიდეო და აუდიო გადაღება შეიზღუდა.

დამოუკიდებლობისათვის, თუმცა, ამ გარემოებათა კომბინაცია ქმნის რაფინირებულ და „დახვეწილ“ მექანიზმს, რომელიც ეფექტურ გავლენას ახდენს ცალკეულ მოსამართლეებზე და მათ დამოუკიდებულ ხდის პოლიტიკის განმსაზღვრელ პირებზე როგორც სასამართლოს სისტემის შიგნით, ასევე მის გარეთ.

იმედს გამოვთქვამთ, რომ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ წარმოდგენილი ანგარიში ქართული სასამართლო სისტემის შესახებ, მაქსიმალურად გასაგებს და ხელშესახებს გახდის სასამართლოს წინაშე მდგარ სირთულეებს და ხელს შეუწყობს მათ გადალახვას.

სასამართლოს დამოუკიდებლობა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

2007 წლის 27 დეკემბერს საქართველოს კონსტიტუციაში განხორციელებული ცვლილებებით, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო გარდაიქმნა დამოუკიდებელ სტრუქტურულ ერთეულად სასამართლო ხელისუფლების ფარგლებში. კონსტიტუციურ ცვლილებამდე, იუსტიციის უმაღლესი საბჭო წარმოადგენდა პრეზიდენტის სათათბირო ორგანოს, რომელსაც ეს უკანასკნელი თავად ხელმძღვანელობდა. აღნიშნული ცვლილებით, საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილებაში აღარ შედის მოსამართლეთა დანიშვნა-გათავისუფლების საკითხი და იგი მთლიანად დამოუკიდებელი უწყების – იუსტიციის უმაღლესი საბჭოს – კომპეტენციას განეკუთვნება.

i. საბჭოს შემადგენლობა და ფორმირების წესი

დღეს არსებული მდგომარეობით, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო არის საქართველოს კონსტიტუციის 86¹-ე მუხლით განსაზღვრული დამოუკიდებელი სტრუქტურული რგოლი სასამართლო ხელისუფლების ფარგლებში, რომელიც მოსამართლეთა თანამდებობაზე დანიშვნის, თანამდებობიდან გათავისუფლების და სხვა ამოცანების შესრულების მიზნით არის შექმნილი. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრთა უმრავლესობა საერთო სასამართლოების მოსამართლეთა თვითმმართველობის მიერ არის არჩეული. იუსტიციის უმაღლეს საბჭოს ხელმძღვანელობს საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობა განისაზღვრება საქართველოს ორგანული კანონით „საერთო სასამართლოების შესახებ“.²

² „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი პარლამენტის მიერ მიღებულია 2009 წლის 4 დეკემბერს [№ 2257]. მან თავის თავში მოიცვა მანამდე არსებული აქტები „საერთო სასამართლოების შესახებ“, „საქართველოს უზენაესი სასამართლოს შესახებ“, უზენაესი სასამართლოს წევრთა სოციალური დაცვის გარანტიების შესახებ“ და „მოსამართლეთა სოციალური და სამართლებრივი დაცვის გარანტიების შესახებ“.

იუსტიციის საბჭო შედგება 15 წევრისგან, რომლებიც ინიშნებიან ხელისუფლების დანაწილების პრინციპიდან გამომდინარე, საქართველოს პარლამენტის, საქართველოს პრეზიდენტის და სასამართლო ხელისუფლების მიერ.

საქართველოს პარლამენტი იუსტიციის უმაღლეს საბჭოში წარმოდგენილია 4 წევრით. სამი მათგანი აირჩევა საქართველოს პარლამენტის მიერ. აქედან 1 წევრი უნდა იყოს იმ ფრაქციიდან, რომელიც არ არის გაერთიანებული უმრავლესობაში, ან იმ წევრთა სიიდან, რომელიც არ შედის არც ერთი ფრაქციის შემადგენლობაში. მეოთხე წევრი საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარეა, რომელიც, თანამდებობიდან გამომდინარე, *ex officio* შედის საბჭოს შემადგენლობაში.

საქართველოს პრეზიდენტი იუსტიციის უმაღლეს საბჭოში ნიშნავს 2 წევრს.

სასამართლო ხელისუფლება იუსტიციის უმაღლეს საბჭოში წარმოდგენილია საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა კონფერენციის მიერ არჩეული 8 წევრით და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარით, რომელიც *ex officio* შედის საბჭოს შემადგენლობაში. 8 წევრიდან, რომელიც აირჩევა მოსამართლეთა კონფერენციის მიერ, ერთი წარმოადგენს **საბჭოს მდივანს**. სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლები არიან საერთო სასამართლოების მოსამართლეები, გარდა საბჭოს მდივნისა,³ რომლის მიმართ არ მოქმედებს აღნიშნული თანამდებობრივი ცენზი.



საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების უფლებამოსილების ვადა შეადგენს 4 წელს. *Ex officio* წევრები განუსაზღვრელი ვადით აირჩევიან. ამ უკანასკნელთა მიმართ მოქმედებს ადგილმონაცვლეობის პრინციპი, ხოლო საბჭოს მდივანი უფლებამოსილებას ახორციელებს 3 წლის ვადით.⁴

ii. საბჭოს წევრების დამოუკიდებლობის გარანტიები

ერთი შეხედვით, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო შედგება ხელისუფლების სამივე შტოს მიერ დანიშნული/არჩეული წევრებისგან. საქართველოს კონსტიტუციის მოთხოვნაც, რომლის მიხედვითაც, საბჭოს შემადგენლობის ნახევარზე მეტს წარმოადგენენ მოსამართლეები, სწორედ დაბალანსების და კონტროლის აუცილებლობითაა ნაკარნახევი.

³ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე, 2008 წლის 15 ივლისის ორგანული კანონი.

⁴ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 51-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

ა. სასამართლო ხელისუფლება

სასამართლო ხელისუფლებიდან უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე საბჭოს *ex officio* წევრია. მისი წარდგინებით, მოსამართლეთა თვითმმართველობა ირჩევს დანარჩენ წევრს, თუმცა, საიას მიაჩნია, რომ ბევრად უკეთესი იქნებოდა, თუკი საერთო სასამართლოების მოსამართლეებს ასევე ექნებოდათ თავიანთი ან კოლეგების კანდიდატურების წარდგენის შესაძლებლობა. მიუხედავად უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის დამოუკიდებლობის გარანტიებისა, სხვა მოსამართლეებსაც უნდა ჰქონდეთ ასპარეზზე გამოსვლის შესაძლებლობა. აღნიშნული იუსტიციის საბჭოს გამჭვირვალობის და დამოუკიდებლობის ინდიკატორს წარმოადგენს და გამორიცხავს სასამართლო ხელისუფლების კორპუსის შიგნითვე ზემოქმედების შესაძლებლობას.

საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში, დღევანდელი მდგომარეობით,⁵ მოსამართლეთა კვოტა შემდეგნაირად გამოიყურება:

- **ვალერი ცერცვაძე** – თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარე
- **მიხეილ ჩინჩალაძე** – საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული პალატის თავმჯდომარე
- **გიორგი შავლიაშვილი** – თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე
- **მამია ფხაკაძე** – თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის თავმჯდომარე
- **ლაშა კალანდაძე** – თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის თავმჯდომარე
- **მალხაზ გურული** – ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარე
- **კონსტანტინე კუბლაშვილი** – საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე

საბჭოს დღევანდელი შემადგენლობიდან ნათლად იკვეთება შემდეგი ტენდენცია – იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრები არიან ე.წ. „ელიტარული“ მოსამართლეები, რომლებსაც მაღალი თანამდებობები უკავიათ და საერთო სასამართლოების სისტემაში პოლიტიკის განმსაზღვრელ პირებს წარმოადგენენ. ისინი თითქმის არ ასრულებენ სამოსამართლო ფუნქციას, ანუ არ განიხილავენ საქმეებს და ძირითადად მხოლოდ ადმინისტრაციული საქმიანობით⁶ არიან დაკავებულნი. ამრიგად, საქართველოს რეალობაში მაღალი თანამდებობრივი რანგის მქონე რამდენიმე მოსამართლე, რომელიც თავად თითქმის არ ასრულებს მოსამართლის უშუალო მოვალეობებს, განსაზღვრავს საერთო სასამართლოების სისტემის პოლიტიკასა და ფუნქციონირებას, რაც არ წარმოადგენს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შემადგენლობის დაკომპლექტების საუკეთესო წესს, რადგან იუსტიციის უმაღლესი საბჭო უნდა წარმოადგენდეს მოსამართლეთა რეალური თვითმმართველობის ფორუმს და, შესაბამისად, ყველა რიგით მოსამართლეს უნდა ჰქონდეს მის საქმიანობაში მონაწილეობის

⁵ 2010 წლის თებერვლის მდგომარეობით.

⁶ იხილეთ ქვემოთ „სასამართლოს თავმჯდომარის როლი საერთო სასამართლოებში“.

შესაძლებლობა. ალბანეთის საკონსტიტუციო სასამართლომ 2006 წლის 22 მაისის გადაწყვეტილებაში⁷ განაცხადა, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი მოქმედი მოსამართლე უნდა იყოს. ვენეციის კომისიის დასკვნა, სერბეთის უმაღლესი სამოსამართლო საბჭოს კანონის შესახებ, პირდაპირ მიუთითებს, რომ იუსტიციის უმაღლეს საბჭოში სამართლიანად უნდა იყოს წარმოდგენილი ყველა მოსამართლის ინტერესი⁸. მოსამართლეთა რეალური ჩართულობა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დაკომპლექტების პროცესში მნიშვნელოვანია და საჭიროებს გამოსწორებას.

ბ. საქართველოს პარლამენტი

საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში საქართველოს პარლამენტს წარმოადგენს 4 წევრი. 2008 წელს ორგანულ კანონში შეტანილი ცვლილების თანახმად, 4 წევრიდან 1 მაინც არ უნდა წარმოადგენდეს საპარლამენტო უმრავლესობას. საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის გარდა, პარლამენტართა სიიდან ირჩევა სამი წევრი, რომელთა მიმართაც იგივე მოთხოვნაა დადგენილი, რაც კომიტეტის თავმჯდომარის მიმართ. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 189-ე და 32-ე მუხლების მიხედვით, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს⁹ წევრების არჩევა ხდება სიითი შემადგენლობის უმრავლესობით. საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, უმჯობესი იქნება, თუ საბჭოს წევრთა ასარჩევად აუცილებელ კრიტერიუმად მიეთითება მაღალი მორალური თვისებები, სათანადო პროფესიული გამოცდილება და ა.შ. აღნიშნულ მიდგომას ითვალისწინებს ვენეციის კომისიაც. კომისიის განცხადებით, ნდობის ხარისხი წევრების აპოლიტიკურობის განმსაზღვრელია.¹⁰

გ. საქართველოს პრეზიდენტი

საქართველოს პრეზიდენტი იუსტიციის უმაღლეს საბჭოში წარმოდგენილია 2 წევრით. ორივე წევრის დანიშნისას საქართველოს პრეზიდენტს აქვს სრული დისკრეცია. იგი არ სარგებლობს არც ერთი ორგანოს კონსულტაციით. მას ასევე შეუძლია, ნებისმიერ დროს, უფლებამოსილების ვადის გასვლამდე, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე გაათავისუფლოს თანამდებობიდან ორივე მათგანი. აღნიშნული კომპეტენციით, პრეზიდენტს აქვს შესაძლებლობა, აკონტროლოს სასამართლო ხელისუფლების მნიშვნელოვანი ნაწილი.¹¹

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის აზრით, საქართველოს პრეზიდენტის მიერ არჩეული წევრების მიმართ კანონმდებლობით უნდა დადგინდეს მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც, პრეზიდენტს არ შეეძლება თანამდებო-

⁷ ალბანეთის რესპუბლიკის საპარლამენტო ასამბლეის დეპუტატთა კონსტიტუციური წარდგინება 2005 წლის 5 დეკემბრის №9448 კანონის კონსტიტუციურობასთან დაკავშირებით.

⁸ CDL-AD(2006)006, par 76.

⁹ პარლამენტის რეგლამენტის 189-ე მუხლში დაშვებულია უზუსტობა, როდესაც „იუსტიციის უმაღლესი საბჭო“ მოხსენებულია „იუსტიციის საბჭოდ“, რაც ტექნიკური ხარვეზია და უმჯობესია მისი გამოსწორება.

¹⁰ ვენეციის კომისიის დასკვნა სერბეთის უმაღლესი სამოსამართლო საბჭოს კანონის შესახებ, ჩDგ-AD(2008)006, პარ 19,21.

¹¹ აღნიშნულის შესახებ იხილეთ მომდევნო ქვეთავი — იუსტიციის საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღება.

ბიდან წევრების გათავისუფლება. მათი არჩევა უნდა მოხდეს განსაზღვრული ვადით. ასევე, აუცილებლად მიგვაჩნია ამ პირებისათვის პოლიტიკური საქმიანობის აკრძალვა.

დ. საბჭოს პოლიტიზირება

ერთ-ერთი მთავარი პრობლემა იუსტიციის საბჭოს წევრების მიმართ ასევე არის პოლიტიკური ნეიტრალიტეტის საკითხი. საერთო სასამართლოების მოსამართლეებს, მათ შორის, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს, ეკრძალებათ პოლიტიკური პარტიის წევრობა, თუმცა, საქართველოს პარლამენტის წევრების, პრეზიდენტის კვოტით დანიშნული წევრების და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის¹² მიმართ პოლიტიკური საქმიანობის შეწყვეტის მოთხოვნა კანონით გათვალისწინებული არ არის. ვფიქრობთ, აღნიშნული საკითხი დარეგულირებას საჭიროებს. კანონმდებლობამ უნდა გაითვალისწინოს მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებს აკრძალებათ პოლიტიკურ პარტიაში საქმიანობა. აღნიშნული განსაკუთრებულად აქტუალურია საქართველოს პრეზიდენტის მიერ დანიშნულ წევრებთან მიმართებით.

რაც შეეხება საკანონმდებლო ორგანოს, იმის გათვალისწინებით, რომ პარლამენტი თავისი არსით პოლიტიკური ორგანოა, იგი საჭიროებს განსაკუთრებულ მიდგომას. შესაბამისად, შეიძლება დადგინდეს მოთხოვნა, რომ პარლამენტმა იუსტიციის საბჭოს წევრად წარადგინოს აპოლიტიკური პირები, რომლებიც საზოგადოებაში სარგებლობენ მაღალი ავტორიტეტით და არ არიან პარლამენტის წევრები.

იუსტიციის უმაღლესი საბჭო განიხილავს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორებიცაა მოსამართლეების დანიშვნა, მივლინება,¹³ წახალისება, პასუხისმგებლობა და სხვა. პოლიტიზირებული საბჭოს შემთხვევაში, იზრდება სასამართლო სისტემაში გაუმართლებელი, პოლიტიკური კონიუნქტურიდან გამომდინარე ჩარევის საფრთხე.

iii. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღება

როგორც ზევით აღვნიშნეთ, კონსტიტუციის 86¹-ე მუხლის საფუძველზე, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შემადგენლობის ნახევარზე მეტს შეადგენენ მოსამართლეთა თვითმმართველობის მიერ არჩეული წევრები. საქართველოს კონსტიტუციის მე-5 მუხლის მიხედვით დადგენილია, რომ სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება ხელისუფლების დანაწილების პრინციპზე დაყრდნობით, რაც გულისხმობს იმას, რომ სხვადასხვა შტო აკონტროლებს და აბალანსებს ერთმანეთს და გამორიცხებულია სახელისუფლებო იზოლაცია.

იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან მიმართებით, საქართველოს კონსტიტუცი-

¹² რომელიც შეიძლება არ იყოს საერთო სასამართლოების მოსამართლე და, შესაბამისად, არ არსებობდეს პოლიტიკური საქმიანობის აკრძალვის მოთხოვნა.

¹³ იგულისხმება „საერთო სასამართლოების საქმეების განაწილებისა და უფლებამოსილების სხვა მოსამართლისთვის დაკისრების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევა.

ის 86¹-ე და მე-5 მუხლები ნაკითხულ უნდა იქნეს ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში. შესაბამისად, სასამართლო ხელისუფლება და იუსტიციის უმაღლესი საბჭო შესაძლებელია დაექვემდებაროს გარკვეულ სახელისუფლებო შეზღუდვას, მაგრამ აღნიშნული მიმართული უნდა იყოს სახელისუფლებო შტოს განონასწორებისა და დაბალანსების და არა მთლიანი მონოპოლიზაციისკენ.¹⁴ სწორედ ამ მიზნით, საქართველოს კონსტიტუციის მოთხოვნა არის ის, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შემადგენლობის ნახევარზე მეტს შეადგენდნენ საერთო სასამართლოების მოსამართლეთა თვითმმართველობის ორგანოს მიერ არჩეული წევრები. დანარჩენი წევრები, რომლებიც აირჩევიან/ინიშნებიან საქართველოს პრეზიდენტის და პარლამენტის მიერ, თავისთავად ახდენენ ხელისუფლების ჰორიზონტალურ დაბალანსებას.

საბჭოს კომპლექტაციის ეს წესი თავისთავად გულისხმობს, რომ გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოსამართლეთა კორპუსის წარმომადგენლებს უნდა ჰქონდეთ გარკვეული უპირატესობა.

მართლაც, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, დამოუკიდებელ ერთეულად გარდაქმნის დღიდან, გადაწყვეტილებას იღებს დამსწრეთა უმრავლესობით.¹⁵ თუმცა, „საქართველოს საერთო სასამართლოების შესახებ“ კანონში 2007 წლის 19 ივნისს შესული დამატებებით,¹⁶ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საკითხის გადაწყვეტის წესში შევიდა ცვლილება, რომლის მიხედვითაც, **მოსამართლის არჩევის დროს აუცილებელია საბჭოს დამსწრე წევრების უმრავლესობის მოთხოვნასთან ერთად სამივე სახელისუფლებო რგოლის მიერ დანიშნული წევრის თანხმობა.** მაგალითად, თუკი პარლამენტის კვოტით წარმოდგენილი საბჭოს წევრები მხარს არ დაუჭერენ მოსამართლის კანდიდატურას, მაშინ, დანარჩენი 11 წევრის მხარდაჭერის მიუხედავად, პირის მოსამართლედ არჩევა არ მოხდება.

საქართველოს პარლამენტი, რომელიც არის პოლიტიკური ორგანო, თავის მხრივ, შესაძლებელია იყოს კონკრეტული პირის წინააღმდეგი. შესაბამისად, მათ შეუძლიათ უარი განაცხადონ კანდიდატურის არჩევისას და გადაწყვეტილება მიიღონ პოლიტიკური მიზანშეწონილობიდან გამომდინარე. იგივე შეიძლება ითქვას პრეზიდენტის კვოტით დანიშნულ საბჭოს წევრებზე. შესაბამისად, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტი¹⁷ შესაძლებლობას აძლევს საქართველოს პრეზიდენტსა და პარლამენტს, ნებისმიერ დროს დაბლოკონ მოსამართლეობის კანდიდატი პოლიტიკური ნიშნით. ხელისუფლების დანაწილების პრინციპიდან გამომდინარე, სასამართლო ინსტიტუციაში სხვა სახელისუფლებო ინსტიტუციების მონაწილეობა განპირობებულია მმართველობის განონასწორების და დაბალანსების უზრუნველყოფით. ზემოაღნიშნული დებულება კი გამორიცხავს ორივე ზემდგომ მიზანს და აწესებს სასამართლო ხელისუფლე-

¹⁴ ვენეციის კომისიის დასკვნა ალბანეთის კონსტიტუციის მთავარ ცვლილებებთან დაკავშირებით, ჩDგ-INპ(1998)009, პარ 5. ასევე ვენეციის კომისიის დასკვნა სომხეთის რესპუბლიკის კონსტიტუციურ ცვლილებებთან დაკავშირებით, ჩDგ-AD(2004)044, პარ 58.

¹⁵ ადრე მოქმედი საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 65-ე მუხლის მეორე პუნქტი და 2009 წლის კანონის 50-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

¹⁶ კანონი № 4951.

¹⁷ მანამდე მოქმედი ორგანული კანონის 65-ე მუხლის მე-2¹ პუნქტი.

ბაზე კონტროლს როგორც პარლამენტის, ისე პრეზიდენტის მხრიდან. საქართველოს კონსტიტუციის ცვლილება, რომლითაც გაუქმდა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოდელი, რომელიც ცვლილებამდე საქართველოს პრეზიდენტის სათათბირო ორგანოს წარმოადგენდა, შეიძლება ითქვას, აუმოქმედებელია, ვინაიდან პრეზიდენტის დისკრეცია მოსამართლეთა დანიშვნა/არდანიშვნის კუთხით კვლავ ანალოგიურია.¹⁸

ვენეციის კომისიამ 2007 წლის 22 ივნისს გამოაქვეყნა მოხსენება მოსამართლეთა დანიშვნის სტანდარტების შესახებ.¹⁹ კომისიამ პირდაპირ მიუთითა, რომ გადაწყვეტილება მოსამართლეთა არჩევის, თანამდებობაზე დანიშვნისა და გათავისუფლების შესახებ მიღებული უნდა იყოს აღმასრულებელი ხელისუფლებისგან დამოუკიდებლად. დღევანდელი მდგომარეობით, საქართველოს პრეზიდენტს, მოსამართლეთა დანიშვნის კუთხით, სრული გავლენა აქვს იუსტიციის უმაღლეს საბჭოზე, რაც, თავის მხრივ, ეწინააღმდეგება საერთაშორისო სტანდარტებს.

iv. რეკომენდაცია

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაციის მიხედვით, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეფორმირება სრულად დასრულებულია.²⁰ მიუხედავად ამისა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია მოუწოდებს საქართველოს პარლამენტს, მოახდინოს შემდეგი ცვლილებების განხორციელება „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში:

- საქართველოს პრეზიდენტს უნდა შეეზღუდოს მის მიერ დანიშნული წევრების გათავისუფლების უფლება;
- პრეზიდენტის კვოტით წარმოდგენილი წევრების დანიშვნა უნდა მოხდეს განსაზღვრული ვადით;
- მოსამართლეთა დანიშვნის საკითხის გადაწყვეტისას სავალდებულო არ უნდა იყოს სასამართლოს, საქართველოს პარლამენტის და პრეზიდენტის მიერ დანიშნული წევრების მხარდაჭერა; მსგავსი ტიპის გადაწყვეტილების მიღებისას უნდა გავრცელდეს გადაწყვეტილების მიღების ზოგადი წესი;
- აუცილებელია, საბჭოს წევრებს აეკრძალოთ პოლიტიკური საქმიანობა;
- საბჭოს წევრი მოსამართლეების არჩევისას, მოსამართლეთა კანდიდატურების დასახელება მხოლოდ საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის ექსკლუზიურ უფლებამოსილებას არ უნდა განეკუთვნებოდეს;
- საბჭოში წარმოდგენილი უნდა იყოს ყველა ინსტანციის სასამართლოს მოსამართლე გეოგრაფიული ნიშნის გათვალისწინებით;

¹⁸ პრეზიდენტს გავლენა აქვს საბჭოს ორი წევრის მიმართ, ვინაიდან მას ნებისმიერ დროს შეუძლია თანამდებობიდან მათი გათავისუფლება.

¹⁹ CDL-AD(2007)028, 2007 წლის 22 ივნისი.

²⁰ ვებ-გვერდი: http://www.supremecourt.ge/News.aspx?sec_id=39&lang=1&news_id=641 [ბოლოს ნანახია 2009 წლის დეკემბერში].

- საქართველოს პარლამენტის მიერ ნომინირებული საბჭოს წევრობის კანდიდატები საზოგადოებაში მაღალი მორალური ავტორიტეტით უნდა სარგებლობდნენ.

იუსტიციის საბჭოს მოდელის უნიფიცირებული სისტემა მსოფლიოს მასშტაბით არ არსებობს.²¹ მათი საქმიანობა და დამოუკიდებლობა დამოკიდებულია ქვეყნის კონსტიტუციურ-სამართლებრივ მოწყობაზე. საქართველოს რეალობაში, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეფორმირების კუთხით, ქმედითი ნაბიჯები გადაიდგა, თუმცა, ზემოაღნიშნული ხარვეზების გათვალისწინებით, არ შეიძლება ეს პროცესი დამთავრებულად ჩაითვალოს. ჩვენი აზრით, შემდგომი საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება აუცილებელია, რათა იუსტიციის უმაღლესი საბჭო რეალურად ქმედით და პოლიტიკისგან დამოუკიდებელ ორგანოდ ჩამოყალიბდეს. დღევანდელი მდგომარეობით, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებლობა ირიბად დაძლევადა.

იუსტიციის მინისტრი, როგორც საქართველოს უზენაესი სასამართლოს პლენუმის წევრი

საქართველოს კონსტიტუციაში 2008 წელს განხორციელებული ცვლილებების შემდეგ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაში გადავიდა მანამდე მოქმედი საქართველოს გენერალური პროკურატურა – მთავარი პროკურატურის სახელწოდებით. ამ უკანასკნელს ხელმძღვანელობს მთავარი პროკურორი, ხოლო იუსტიციის მინისტრი *ex officio* გახდა გენერალური პროკურორი.

საქართველოს იუსტიციის მინისტრს, გარდა „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს კანონისა, გარკვეული უფლებამოსილებები აქვს დაკისრებული სხვა კანონებითაც. ასეთია, მაგალითად, საქართველოს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“, რომლის მე-18 მუხლის მე-6 პუნქტის მიხედვით, საქართველოს იუსტიციის მინისტრი უზენაესი სასამართლოს პლენუმის შემადგენლობაში სარგებლობს სათათბირო ხმის უფლებით. „საქართველოს უზენაესი სასამართლოს შესახებ“ მანამდე მოქმედი ორგანული კანონის მე-12 მუხლის მე-7 პუნქტი იმავე უფლებამოსილებას აძლევდა საქართველოს იუსტიციის მინისტრსა და მთავარ პროკურორს. 2009 წელს მიღებული ორგანული კანონის ამოქმედების შემდეგ ამ პირთაგან პლენუმის შემადგენლობაში მხოლოდ იუსტიციის მინისტრი დარჩა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს პლენუმი შედგება საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, მისი მოადგილეების, უზენაესი სასამართლოს წევრებისა და სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეებისგან. იმისათვის, რომ პლენუმის საქმიანობაში იუსტიციის მინისტრის როლის გაანალიზება შევძლოთ, აუცილებელია, პირველ რიგში, თავად პლენუმის როლი და ფუნქციები მიმოვიხილოთ. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, პლენუმის უფლე-

²¹ ვენეციის კომისიის დასკვნა ბულგარეთის სასამართლო სისტემის რეფორმის შესახებ, CDL-INF(1999)005, პარ 28.

ბამოსილებას განეკუთვნება:

- ა) უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინებით აირჩიოს დიდი პალატის შემადგენლობა;
- ბ) უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინებით აირჩიოს უზენაესი სასამართლოს პალატების შემადგენლობები და მათი თავმჯდომარეები;
- გ) დანიშნოს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 3 წევრი;
- დ) საქართველოს კონსტიტუციის 89-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, კონკრეტული საქმის განხილვასთან და სასამართლო პრაქტიკის განზოგადებასთან დაკავშირებით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში შეიტანოს წარდგინება ნორმატიული აქტის საქართველოს კონსტიტუციასთან შესაბამისობის თაობაზე;
- ე) საქართველოს პარლამენტს იმპიჩმენტის საქმეზე მისცეს დასკვნა თანამდებობის პირის ქმედებაში დანაშაულის ნიშნების არსებობის ან არარსებობის შესახებ. დასკვნაში პლენუმი შემოიფარგლება იმ ქმედების იურიდიული შეფასებით, რომელიც იმპიჩმენტის საკითხის აღმძვრელ პარლამენტის წევრთა მიერ მიჩნეულია დადგენილად;
- ვ) საქართველოს პრეზიდენტს წარუდგინოს რეკომენდაციები უზენაესი სასამართლოს კომპეტენციისათვის მიკუთვნებულ საკითხებზე საერთაშორისო ხელშეკრულებების დადების თაობაზე;
- ზ) მოისმინოს და შეაფასოს უზენაესი სასამართლოს პალატების თავმჯდომარეთა ინფორმაციები, უზენაესი სასამართლოს აპარატის სტრუქტურულ ქვედანაყოფთა ხელმძღვანელების ანგარიშები, განიხილოს მათი საქმიანობის სრულყოფასთან დაკავშირებული წინადადებები;
- თ) შექმნას უზენაესი სასამართლოს ოფიციალური ბეჭდვითი ორგანო, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინებით დანიშნოს მისი რედაქტორი და სარედაქციო კოლეგია;
- ი) შექმნას უზენაესი სასამართლოს სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭო, დაამტკიცოს მისი დებულება, შემადგენლობა და სწავლული მდივანი;
- კ) საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით უზენაესი სასამართლოსთვის გათვალისწინებული დაფინანსების ფარგლებში განსაზღვროს უზენაესი სასამართლოს წევრის თანამდებობრივი სარგოს ყოველთვიური დანამატის ოდენობა;
- ლ) უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინებით დაამტკიცოს უზენაესი სასამართლოს აპარატის რეგლამენტი, მოხელეთა და სხვა მუშაკთა თანამდებობრივი სარგოების განაკვეთები;
- მ) მოამზადოს და გამოაქვეყნოს ყოველწლიური ანგარიში საქართველოში მართლმსაჯულების მდგომარეობის შესახებ;
- ნ) განახორციელოს სასამართლო ხელისუფლების კონსტიტუციური ფუნქციებიდან გამომდინარე და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებანი

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლო უმაღლესი საკასაციო ორგანოა და განსაზღვრავს სასამართლო პრაქტიკას, პლენუმს დიდი უფლებები აქვს მინიჭებული, რომელთაგან ნაწილი არის ტექნიკური, დანარჩენი კი, კონსტიტუციურ-სამართლებრივი და პირდაპირ არის დაკავშირებული სასამართლოს დამოუკიდებლობასა და მისი კომპეტენციის ჯეროვნად განხორციელებასთან.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის მონაწილეობას უზენაესი სასამართლოს პლენუმში შეუძლია საფრთხე შეუქმნას სასამართლოს დამოუკიდებლობას. მინისტრი წარმოადგენს აღმასრულებელი ხელისუფლების განმახორციელებელ ორგანოს, მთავრობის წევრს. იგი პოლიტიკურ პასუხისმგებლობას დაქვემდებარებული პირია და მისი თანამდებობა დაკავშირებულია „პოლიტიკურ რყევებთან“, რაც, რა თქმა უნდა, თავის გავლენას იქონიებს პლენუმის საქმიანობის სტაბილურობასა და აპოლიტიკურობაზე.

ერთადერთი ახსნა, რომელიც შეიძლება მოეძებნოს საქართველოს იუსტიციის მინისტრის პლენუმში მონაწილეობას, არის ხელისუფლების დანაწილების პრინციპი. მსგავსად იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შემადგენლობისა, შეიძლება გაჩნდეს იდეა, რომ პლენუმის საქმიანობისთვისაც აუცილებელია ხელისუფლების სხვა შტოების მონაწილეობა. თუმცა, უზენაესი სასამართლოს პლენუმის შემადგენლობაში არ არის წარმოდგენილი საქართველოს პარლამენტი, შესაბამისად, ლოგიკურად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ იუსტიციის მინისტრის მონაწილეობა უზენაესი სასამართლოს პლენუმში არ არის განპირობებული ხელისუფლების დანაწილების პრინციპით.

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, საქართველოს გენერალური პროკურორი ახდენს იმ პირთა სისხლისსამართლებრივ დევნას, რომლებიც ექვემდებარებიან იმპიჩმენტის პროცედურას. ეს უკანასკნელი თავის თავში გულისხმობს გენერალური პროკურორის მიერ ბრალდების მხარდაჭერას სისხლის სამართლის პროცესის ყველა სტადიაზე, მათ შორის, იმუნიტეტის ჩამორთმევის დროს, რაც, თავის მხრივ, უზენაესი სასამართლოს პლენუმის გადასაწყვეტია. ამ პროცედურის დროს იუსტიციის მინისტრს აშკარად ინტერესთა კონფლიქტი ექმნება.

მიგვაჩნია, რომ იუსტიციის მინისტრის მონაწილეობა უზენაესი სასამართლოს პლენუმის საქმიანობაში ნებისმიერ შემთხვევაში უნდა გამოირიცხოს, რადგან ამ დროს ადგილი აქვს გაუმართლებელ ჩარევას სასამართლოს დამოუკიდებლობაში. საქართველოს გენერალური პროკურორის და მთავარი პროკურორის უფლებამოსილების განხორციელება ამ სფეროში არა მხოლოდ არღვევს ხელისუფლების დანაწილების პრინციპს, არამედ, ასევე წარმოადგენს პროკურორთათვის სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებისგან დამოუკიდებელ ფუნქციას და ეწინააღმდეგება ზოგად ევროპულ მიდგომას.²² გარდა ამისა, იგი წინააღმდეგობაში მოდის ვენეციის კომისიის ზოგად სტანდარტებთან.²³

²² იხილეთ ევროპის საბჭოს პროკურორთა საკონსულტაციო საბჭოს რეკომენდაციები. ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: www.coe.int/ccpe

²³ ვებ-გვერდი: [http://www.venice.coe.int/docs/2008/CDL-JD\(2008\)001-e.pdf](http://www.venice.coe.int/docs/2008/CDL-JD(2008)001-e.pdf)

საერთო სასამართლოების მოსამართლეებთან კომუნიკაციის წესი და პრობლემები

საქართველოში სასამართლო სისტემის და მოსამართლეთა დამოუკიდებლობის ხარისხის გაზრდის მიზნით, 2007 წლის 11 ივლისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „საერთო სასამართლოების მოსამართლეებთან კომუნიკაციის წესის შესახებ“, რომელსაც მსოფლიოს თითქმის არც ერთ ქვეყანაში არ აქვს ანალოგი და გარკვეულწილად ქართული ნოვაციიაა.

კანონის მთავარი მიზანია, „განამტკიცოს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით, ასევე საქართველოს სხვა კანონმდებლობით აღიარებული საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის გარანტიები“. კერძოდ, აღნიშნული კანონი **ზღუდავს საერთო სასამართლოების მოსამართლეებთან პროცესის მონაწილეების, დაინტერესებული პირების და საჯარო მოსამსახურეების ნებისმიერი ფორმით კომუნიკაციას, რომელიც დაკავშირებულია კონკრეტული საქმის ან საკითხის განხილვასთან და არღვევს სასამართლოს დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სასამართლო შეჯიბრებითობის პრინციპებს.**

„საერთო სასამართლოების მოსამართლეებთან კომუნიკაციის წესის შესახებ“ კანონით გათვალისწინებული პროცედურის თანახმად, მოსამართლე, რომელთანაც მოხდა კანონით აკრძალული კომუნიკაცია, ვალდებულია, დაუყოვნებლივ, წერილობითი ფორმით შეატყობინოს ამ ფაქტის შესახებ სასამართლოს თავმჯდომარეს, ხოლო იმ შემთხვევაში, თუკი კომუნიკაცია მოხდა სასამართლოს თავმჯდომარესთან ან სასამართლოში, სადაც ერთი მოსამართლეა, იგი ატყობინებს ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს თავმჯდომარეს.

თავის მხრივ, სასამართლოს თავმჯდომარეს, რომელსაც შეატყობინეს კანონით აკრძალული კომუნიკაციის შესახებ, შეუძლია დააჯარიმოს დამრღვევი პირი, ან მისი დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ საკითხი დასვას იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის წინაშე.

„საერთო სასამართლოების მოსამართლეებთან კომუნიკაციის წესის შესახებ“ კანონის მიღების უპირველეს მიზანს საჯარო მოხელეების ან თანამდებობის პირების მხრიდან მოსამართლის საქმიანობაში ჩარევის ან სასამართლო გადაწყვეტილებაზე ზეგავლენის მოხდენის შესაძლებლობის აღმოფხვრა წარმოადგენდა. თუმცა, როგორც აღმოჩნდა, „საერთო სასამართლოების მოსამართლეებთან კომუნიკაციის წესის შესახებ“ კანონის გამოყენების სტატისტიკა საქართველოში მიზერულ მაჩვენებელს აღწევს. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ოფიციალური ინფორმაციის²⁴ თანახმად:

„საერთო სასამართლოების მოსამართლეებთან კომუნიკაციის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედების შემდეგ . . . საერთო სასამართლოების თავმჯდომარეების მიერ დამრღვევთა დაჯარიმების შესახებ გადაწყვეტილება მიღებულ იქნა სამ შემთხვევაში. კერძოდ, თერჯოლის რაიონული სასამართლოს მიერ 2007 წლის 18 ოქტომბერს მოქალაქე დაჯარიმდა 200 ლარით,

²⁴ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2009 წლის 12 ოქტომბრის №965/1936-03-ო წერილი.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მიერ 2008 წლის 27 ივლისს მოქალაქე დაჯარიმდა 2000 ლარით, მცხეთის რაიონული სასამართლოს მიერ 2008 წლის 1 სექტემბერს ადვოკატი დაჯარიმდა 500 ლარით.“

ამავე წერილით ირკვევა, რომ აღნიშნული კანონის დარღვევა მოსამართლეების მხრიდან არც ერთხელ არ დაფიქსირებულა და, შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის საბჭოს მიერ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა არ ყოფილა გამოყენებული.

ამრიგად, კანონის ძალაში შესვლიდან სამი წლის განმავლობაში აღნიშნული კანონის საფუძველზე საჯარო მოხელის ან თანამდებობის პირის დაჯარიმება არც ერთ შემთხვევაში არ მომხდარა. ამრიგად, კანონის გამოყენების სტატისტიკა ორი სავარაუდო დასკვნის გაკეთების საფუძველს იძლევა:

1. „საერთო სასამართლოების მოსამართლეებთან კომუნიკაციის წესის შესახებ“ კანონის არსებობა საჯარო მოხელეების მხრიდან სასამართლოს საქმიანობაში ჩარევის აღსაკვეთად არაეფექტურ მექანიზმს წარმოადგენს;
2. სასამართლო სისტემას პრობლემას უქმნის არა საჯარო მოხელეთა და თანამდებობის პირთა ჩარევა მოსამართლის საქმიანობაში, არამედ სრულიად სხვა გარემოებები.

აღსანიშნავია, რომ „საერთო სასამართლოების მოსამართლეებთან კომუნიკაციის წესის შესახებ“ კანონი მოსამართლეების დაცვის არავითარ მექანიზმს არ ქმნის იმ შემთხვევაში, თუკი კანონით აკრძალული კომუნიკაცია სასამართლოს თავმჯდომარისგან ან ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს მოსამართლისგან ხორციელდება. როგორც უკვე აღვნიშნეთ, „საერთო სასამართლოების მოსამართლეებთან კომუნიკაციის წესის შესახებ“ კანონით გათვალისწინებული პროცედურის თანახმად, მოსამართლე, რომელთანაც მოხდა კანონით აკრძალული კომუნიკაცია, ვალდებულია, დაუყოვნებლივ, წერილობითი ფორმით შეატყობინოს ამ ფაქტის შესახებ სასამართლოს თავმჯდომარეს, ხოლო იმ შემთხვევაში, თუკი კომუნიკაცია მოხდა სასამართლოს თავმჯდომარესთან ან სასამართლოში, სადაც ერთი მოსამართლეა, იგი ატყობინებს ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს თავმჯდომარეს. **კანონი ფაქტობრივად არ ტოვებს გამოსავალს იმ შემთხვევაში, თუკი მოსამართლესთან კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით კომუნიკაციას თავად სასამართლოს თავმჯდომარე, ანუ ის პირი ახორციელებს, ვისაც მოსამართლემ დარღვევის შესახებ უნდა აცნობოს და დამრღვევის დაჯარიმება მოსთხოვოს.**

კანონის ეს ხარვეზი კიდევ უფრო აქტიუალური ხდება სასამართლოს სისტემაში დღეისათვის დამკვიდრებული პრაქტიკის გათვალისწინებით. როგორც ცნობილია, საერთო სასამართლოების სისტემაში აქტიურად გამოიყენება ე.წ. „მოსმენების“ მეთოდი, რომელიც ერთიანი პრაქტიკის დამკვიდრების მოტივით დაინერგა და რომლის დროსაც სასამართლოს თავმჯდომარე მოსამართლეებთან ერთად განიხილავს თითოეული საქმის ფაქტობრივ გარემოებებს და საქმის სავარაუდო შედეგებს. აღნიშნულ პრაქტიკას არანაირი სამართლებრივი საფუძველი არ გააჩნია, თუმცა, რეალობაში მოსამართლეების მიერ აღიქმება, როგორც დირექტივა განსახილველი საქმის საბოლოო შედეგთან დაკავშირებით.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ 2009 წლის 14 ნოემბერს გამართულ შეხვედრაზე, რომელზეც მოწვეულები იყვნენ საერთო სასამართლოების მოსამართლეები, ამ უკანასკნელთა მიერ ე.წ. „მოსმენები“ მათზე ზეგავლენის მოხდენის მთავარ საშუალებად დასახელდა.

მოქმედი კანონი არსებული რედაქციითაც გულისხმობს, რომ მოსამართლემ არ შეიძლება კანონით აკრძალული კომუნიკაცია იქონიოს საქმის განმხილველ მოსამართლესთან. თუმცა, პრაქტიკაში ამ ნორმის განმარტება არ ხდება ფართოდ და ადგილი აქვს სასამართლოს თავმჯდომარის მხრიდან მოსამართლეებთან საქმის არსებითი გარემოებების განხილვას, რაც მოსამართლის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩარევას წარმოადგენს. ამგვარი ჩარევები კი არღვევს საქართველოს კონსტიტუციის მოთხოვნას, რომლის თანახმად, „არავის არ აქვს უფლება, მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე.“²⁵

მოსამართლე ყოველ კონკრეტულ საქმეზე გადაწყვეტილებას უნდა იღებდეს მხოლოდ საკუთარი შინაგანი რწმენის საფუძველზე, ხოლო კოლეგიური განხილვის შემთხვევაში – მხოლოდ ამ მოსამართლეების შინაგანი რწმენიდან გამომდინარე. სასამართლოს თავმჯდომარის ან ზემდგომი სასამართლოს მოსამართლის დაინტერესებამ შესაძლოა ზეგავლენა მოახდინოს საქმის განხილვის შედეგებზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას მიაჩნია, რომ კანონმა **პირდაპირ უნდა აუკრძალოს სასამართლოების თავმჯდომარეებს და ზემდგომი სასამართლოს მოსამართლეებს საქმის განმხილველ მოსამართლეებთან კომუნიკაცია საქმის შინაარსობრივ მხარესთან დაკავშირებით.** ხოლო, იმ შემთხვევაში, თუკი აკრძალული კომუნიკაცია მაინც განხორციელდება სასამართლოს თავმჯდომარის ან ზემდგომი სასამართლოს მოსამართლის მხრიდან, მოსამართლეს **უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, პირდაპირ მიმართოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს და მის წინაშე დააყენოს აღნიშნული მოსამართლის დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხი.**

საქართველოს პრეზიდენტმა 2009 წლის 25 სექტემბერს, საკანონმდებლო ინიციატივის წესით, პარლამენტს წარუდგინა კანონების პროექტები „საერთო სასამართლოების მოსამართლეებთან კომუნიკაციის წესის შესახებ“ კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ და „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების შეტანის თაობაზე“.

კანონპროექტის განმარტებითი ბარათის თანახმად, პროექტის მიზანს წარმოადგენდა **საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის გარანტიების გაზრდა, რაც უზრუნველყოფს სასამართლო სისტემის მიმართ საზოგადოებრივი ნდობის ამაღლებას, ადამიანის უფლებების უფრო მტკიცედ დაცვას და დემოკრატიის განმტკიცებას.**

პროექტის თანახმად, აღნიშნული ამბიციური მიზნის მიღწევის საშუალებად შემოთავაზებული იყო საერთო სასამართლოების მოსამართლეებთან კომუ-

²⁵ საქართველოს კონსტიტუციის 84-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

ნიკაციის წესების დარღვევისათვის უკვე არსებული პასუხისმგებლობის ზომის გაზრდა. აქცენტი კეთდებოდა მხოლოდ „საჯარო მოხელესა“ და „სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირს“ შორის პასუხისმგებლობის ზომის დიფერენციაციასა და ამ ზომების გამკაცრებაზე.

თუმცა, როგორც კანონის გამოყენების ზემოთ მოყვანილ სტატისტიკაში ვნახეთ, მოსამართლეებთან კომუნიკაციის წესის დარღვევისთვის არც ერთხელ არ დამდგარა თანამდებობის პირების პასუხისმგებლობა, შესაბამისად, ლოგიკური იქნებოდა, თუკი კანონმდებელი ჯარიმების გაზრდის ნაცვლად ან გაზრდასთან ერთად, ყურადღებას გაამახვილებდა **მოსამართლეებთან კანონით აკრძალული კომუნიკაციის ფაქტების გამოძიების და კანონის მოთხოვნათა შესრულების მექანიზმის ეფექტურობაზე**. ვინაიდან ხარვეზი კანონის გაუმართაობაშია, პრობლემა უცვლელი დარჩება იმის მიუხედავად, თუ რამდენად შთამბეჭდავი იქნება ჯარიმის ოდენობა.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ თავისი წერილობითი მოსაზრებები და კონკრეტული წინადადებები „საერთო სასამართლოების მოსამართლეებთან კომუნიკაციის წესის შესახებ“ კანონის ხარვეზების აღმოფხვრასთან დაკავშირებით წარუდგინა საქართველოს პარლამენტს.²⁶ იმედიია, აღნიშნული რეკომენდაციები ადეკვატურ ასახვას ჰპოვებს საქართველოს კანონში „საერთო სასამართლოების მოსამართლეებთან კომუნიკაციის წესის შესახებ“ და შესაძლებელი გახდება უფრო ქმედითი ღონისძიებების გატარება მოსამართლეთა დამოუკიდებლობის და მათ საქმიანობაში ჩაურევლობის გარანტიების შესაქმნელად.

მოსამართლეთათვის სხვა სასამართლოში უფლებამოსილების დაკისრება

საქართველოს პარლამენტმა 1998 წლის 16 ივნისს მიიღო კანონი „საერთო სასამართლოებში საქმეთა განაწილებისა და უფლებამოსილების სხვა მოსამართლისათვის დაკისრების წესის შესახებ“. ამ კანონის მე-13 მუხლის მიხედვით, რეგლამენტირებულია სხვა სასამართლოში მოსამართლეთა მივლინების წესი.

კანონის მიხედვით, მოსამართლის მივლინება ორ შემთხვევაში ხდება:

- ა. როდესაც სასამართლოში მოსამართლეთა არასაკმარისი რაოდენობაა.
- ბ. როდესაც განსახილველი საქმეების რაოდენობა მკვეთრად იზრდება.

ამ შემთხვევაში, იუსტიციის უმაღლესი საბჭო უფლებამოსილია, მოსამართლე მიავლინოს პირველიდან სააპელაციო ინსტანციაში ან – პირიქით. მივლინება ასევე შესაძლებელია პირველი ინსტანციიდან სხვა რაიონულ სასამართლოში ან სააპელაციოდან სააპელაციოში.

მე-13 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, მოსამართლეთა უფლებამოსილების დაკისრება სხვა სასამართლოებში 2012 წლის 1 იანვრამდე ხორციელდება.

²⁶ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის 2009 წლის 15 ოქტომბრის №გ-07/93-09 და 2009 წლის 20 ნოემბრის №გ-07/96-09 წერილები.

აღნიშნული უფლებამოსილების გადაკისრების წესი დადგენილია, როგორც დროებითი ღონისძიება.

საიას მიაჩნია, რომ ამ ინსტიტუტის საშუალებით შესაძლებელია სასამართლო სისტემის გარკვეულწილად დისკრედიტაცია და დამოუკიდებლობის შელახვა.

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, *მოსამართლის ჩამოცილება საქმის განხილვისგან, თანამდებობიდან მისი ვადამდე გათავისუფლება ან სხვა თანამდებობაზე გადაყვანა დაიშვება მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში.*²⁷ *ამავე მუხლით აკრძალულია მოსამართლის საქმიანობაში ჩარევა.*²⁸

საერთო სასამართლოს მოსამართლის მივლინება ხორციელდება **მოსამართლის თანხმობის მიუხედავად**. მოსამართლის მივლინება ტერიტორიულად სხვა ადგილას მდებარე სასამართლოში დაკავშირებულია სხვადასხვა პრობლემასთან, მათ შორის, სოციალური გარემოს ცვლილებასთან. ამ შემთხვევაში, მოსამართლეთა დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად უნდა არსებობდეს იმის შესაძლებლობა, რომ მოსამართლემ უარი თქვას იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებაზე. დღეს არსებული მდგომარეობით, მოსამართლეს, უარის შემთხვევაში, შეიძლება თანამდებობის საკუთარი ნებით დატოვება მოუწიოს. მაგალითად, თუ მოსამართლის ოჯახი ცხოვრობს თბილისში, და იგი მთლიანი სოციალური გარემოთი დაკავშირებულია კონკრეტულ ადგილთან (შვილები სკოლაში დადიან თბილისში, ლექციებს კითხულობს სახელმწიფო უნივერსიტეტში), ამ დროს მისი გადაყვანა გურიის რომელიმე რაიონულ სასამართლოში შეიძლება გახდეს მოსამართლის მიერ თანამდებობაზე უარის თქმის საფუძველი და, შესაბამისად, მოსამართლის დამოუკიდებლობის ერთ-ერთი ხელის შემშლელი ფაქტორი.

ასევე, პრობლემას წარმოადგენს თანამდებობრივი სარგოს განსაზღვრის საკითხი. „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მიხედვით, მივლინებულ მოსამართლეს უნარჩუნდებათ ხელფასი და თუკი ზემდგომ ინსტანციაში ხდება გამწესება, ხორციელდება ხელფასის გაზრდა სააპელაციო სასამართლოში დადგენილი ოდენობის შესაბამისად. ქვედა ინსტანციაში მივლინების შემთხვევაში, მოსამართლეს უნარჩუნდება ხელფასი ჩვეულებრივი ოდენობით.

როგორც წინა თავებში აღინიშნა, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შემადგენლობა გარკვეულწილად პოლიტიზირებულია და პრეზიდენტს ან პარლამენტს აქვთ სასამართლო ხელისუფლებაზე ზემოქმედების შესაძლებლობა. შესაბამისად, ხელფასის გაზრდა და შემცირება²⁹ შეიძლება გახდეს მოსამართლის დამოუკიდებლობის ხელის შემშლელი ფაქტორი, რადგან მოსამართლე ყოველთვის იქნება მიმართული იმისკენ, რომ განახორციელოს „ვილაცის“ სასარგებლო ქმედება, წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი შეიძლება გახდეს თანამდებობრივი „დაქვეითების“ მსხვერპლი.

²⁷ 84-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

²⁸ პირველი პუნქტი.

²⁹ იგულისხმება ის, რომ როდესაც მოსამართლის მივლინება ხორციელდება ზემდგომ ინსტანციაში, იგი იღებს უფრო მეტ გასამრჯელოს, ხოლო აღნიშნული საქმიანობის დასრულების შემდეგ მოსამართლეს კვლავ ძველი ოდენობის ხელფასი მიეცემა.

ვენეციის კომისიამ გამოაქვეყნა სისტემური მიმოხილვა სასამართლოთა დამოუკიდებლობის ევროპული სტანდარტების შესახებ,³⁰ რომელიც ასევე ეხება მოსამართლეთა მივლინების საკითხებს. კომისია აღნიშნულ საკითხს აფასებს მოსამართლეთა ევროპული ქარტიის³¹ 3.4. პარაგრაფის ქრილში, რომელშიც აღნიშნულია:

„სასამართლოს მოქმედი მოსამართლე არ შეიძლება სხვა სასამართლო თანამდებობაზე დაინიშნოს ან სხვაგან გამწესდეს, თუნდაც დაწინაურების მიზნით, მისი თავისუფალი თანხმობის გარეშე. ამ პრინციპიდან გამონაკლისი დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც გადაყვანა გათვალისწინებულია ან შეფარდებულია დისციპლინური სანქციის წესით, სასამართლო სისტემის კანონიერი შეცვლისას და დროებითი გამწესებისას ახლომდებარე სასამართლოში მისი მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, თუ განწესების ვადის ხანგრძლივობა მკაცრად არის შეზღუდული სტატუტით და თუ ზიანს არ აყენებს 1.4. პუნქტით³² გათვალისწინებულ დებულებებს.“³³

როგორც ვხედავთ, ევროპული სტანდარტი მეტად მაღალია და მოითხოვს მოსამართლის თანხმობას მისი მივლინების შემთხვევაში, რაც მოსამართლის დამოუკიდებლობის დაცვის ერთ-ერთი გარანტიაა.

მაგალითად, ალბანეთის კონსტიტუციის 147-ე მუხლი მოსამართლის სხვა თანამდებობაზე გადაყვანისთვის მისი თანხმობის აუცილებლობას პირდაპირ მოსამართლეთა დამოუკიდებლობის გარანტიებში მოიხსენიებს. გამონაკლისია მხოლოდ სასამართლოს რეორგანიზაციის შემთხვევა.

საქართველოს შემთხვევაში, მოსამართლეთა მივლინების საკითხის გადაწყვეტა არასწორად ხორციელდება. მაგალითად:

- თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიაში მივლინებულნი არიან სიღნაღის რაიონული სასამართლოს მოსამართლე **მარინე ცერცვაძე**, ზესტაფონის რაიონული სასამართლოს მოსამართლე **ნაირა გიგიტაშვილი**, სოხუმის და გუდაუთის რაიონული სასამართლოს მოსამართლე **ზვიად ესებუა**, გალი-გულრიფშის და ოჩამჩირე-ტყვარჩელის რაიონული სასამართლოს მოსამართლე **ლელა ნოზაძე**, მესტიის რაიონული სასამართლოს მოსამართლე **ტარიელ ტაბატაძე**, მცხეთის რაიონული სასამართლოს მოსამართლე **მაია ჯვარშიშვილი**, გარდაბნის რაიონული სასამართლოს მოსამართლე **დავით ჯუღელი** და თელავის რაიონული სასამართლოს მოსამართლე **ლიანა ორკოდაშვილი**. თავის მხრივ, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლეები **გიორგი ჩემია**, **მანუჩარ კაპანაძე**, **მაია თეთრაული** მივლინებულნი არიან თბილისის

³⁰ 2008 წლის 3 ოქტომბერი, CDL-JD(2008)002.

³¹ მიღებულია ლისაბონში 1999 წლის 8-10 აპრილს.

³² „ყველა მოსამართლეს, რომელიც მიიჩნევს, რომ სტატუტით გათვალისწინებულ მის უფლებებს, კერძოდ, დამოუკიდებლობას ან სასამართლო პროცესის დამოუკიდებლობას შეექმნა საფრთხე, ან მოხდა მისი იგნორირება ნებისმიერი გზით, სტატუტი შესაძლებლობას ანიჭებს, მიმართოს დამოუკიდებელ ორგანოს, რომელსაც ეფექტური საშუალებები აქვს საკითხის მოსაგვარებლად ან მოგვარების ხერხის წინადადების წარსადგენად.“

³³ თარგმანი წარმოდგენილია: სამართლიანი სასამართლოს უფლება, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, თბილისი, 2001 წელი.

სააპელაციო სასამართლოში. ამავე სასამართლოს მოსამართლე **ეკატერინე გაბრიჩიძე** მივლინებული იყო მარნეულის რაიონულ სასამართლოში 2009 წლამდე, რის შემდეგაც უფლებამოსილებას ახორციელებს ბოლნისის რაიონულ სასამართლოში, **თეა სამხაძე** – რუსთავის საქალაქო სასამართლოში. ამ შემთხვევაში, ჩვენი აზრით, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს პოლიტიკა არ არის თანმიმდევრული. მოსამართლეთა მივლინების რიცხვიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიაში, მოსამართლეთა არასაკმარისი რაოდენობაა, რამაც გამოიწვია სხვადასხვა რაიონული სასამართლოდან 8 მოსამართლის დამატების აუცილებლობა. თუმცა, საყურადღებოა, რომ თვით ამ კოლეგიიდან იქნა მივლინებული ხუთი მოსამართლე სხვა სასამართლოში. ბუნებრივია, ჩნდება კითხვა, რატომ განხორციელდა ხუთი მოსამართლის მივლინება სხვა რაიონულ სასამართლოებში, თუ თბილისის საქალაქო სასამართლოში მოსამართლეთა არასაკმარისი რაოდენობა იყო? ზემოაღნიშნულიდან მხოლოდ ერთი დასკვნის გაკეთება შეიძლება – **მოსამართლეთათვის უფლებამოსილების სხვა სასამართლოში დაკისრების პროცედურა სხვა, კანონისგან განსხვავებულ, მიზანს ემსახურება;**

- გალი-გულრიფშის და ოჩამჩირე-ტყვარჩელის რაიონული სასამართლოს მოსამართლე ლელა ნოზაძე მივლინებულია თბილისის საქალაქო სასამართლოში, ხოლო იმის გამო, რომ ამ სასამართლოში აღარ დარჩა მოსამართლის შესაბამისი შტატი, ზუგდიდის რაიონული სასამართლოდანაა მივლინებული მოსამართლე **დავით კეკენაძე**. აღნიშნული შემთხვევა კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ მოსამართლის მივლინება სხვა სასამართლოში, უფლებამოსილების განხორციელების მიზნით, ხდება არათანმიმდევრულად და, გვაქვს საფუძველი ვივარაუდოთ, მოსამართლეებით მანიპულირების მიზნით.
- ცაგერის რაიონული სასამართლოს მოსამართლე **თამაზ ურთმელიძე**, რომელიც 2006 წელს დაინიშნა ცაგერის რაიონული სასამართლოს მოსამართლედ, **2006-2009 წლებში** მივლინებული იყო თბილისის სააპელაციო სასამართლოში, ხოლო 2009 წლიდან მივლინებულია ბოლნისის რაიონულ სასამართლოში. ელემენტარული გეოგრაფიის ცოდნა ადვილად დაგვანახებს, თუ რა არათანმიმდევრულად ხდება მოსამართლეთა გადაყვანა მთელი ქვეყნის ტერიტორიის მასშტაბით ისე, რომ არ არის გათვალისწინებული მრავალი ფაქტორი;
- ბათუმის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგია 5 მოსამართლისგან³⁴ შედგება. აქედან სამი მივლინებული მოსამართლეა. კერძოდ, **თამარ ბეჟანაშვილი** მივლინებულია ყვარლის რაიონული სასამართლოდან, **ვერა დოლიძე** ხარაგაულის რაიონული სასამართლოდან, **ლერი თედორაძე** ხობის რაიონული სასამართლოდან. ჩვენი აზრით, ამ შემთხვევაშიც, მოსამართლეთა მივლინება აცდენილია კანონით განსაზღვრულ მიზანს;
- მცხეთის რაიონული სასამართლოს მოსამართლე **მირანდა ერემაძე**

³⁴ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 9 აგვისტოს გადაწყვეტილება № 150, მუხლი 8.

და საგარეჯოს რაიონული სასამართლოს მოსამართლე **ილონა თოდუა** მივლინებულნი არიან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში;

- მარნეულის რაიონული სასამართლოს მოსამართლე **ლევან გვარამია**, სოხუმის და გაგრა-გუდაუთის მოსამართლე **მანანა მესხიშვილი**, საჩხერის რაიონული სასამართლოს მოსამართლე **ლაშა ქოჩიაშვილი**,³⁵ თელავის რაიონული სასამართლოს მოსამართლე **მაია შოშიაშვილი**, გალი-გულრიფშის და ოჩამჩირე-ტყვარჩელის რაიონული სასამართლოს მოსამართლე **ანჟელი ხუროძე** მივლინებულნი არიან თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში;
- თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე **თინათინ ეცადაშვილი**, წალკის რაიონული სასამართლოს მოსამართლე **მაია ბაქრაძე** მივლინებულნი არიან თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში;
- თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეები: **ირაკლი ადეიშვილი**, **ნათია გუჯაბიძე**, **ქეთევან კუჭავა**, **ლილი ტყემალაძე**, **ვანო წიკლაური**, ბოლნისის რაიონული სასამართლოს მოსამართლე **ქეთევან დუგლაძე**, რუსთავის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე **ხათუნა არევაძე** მივლინებულნი არიან თბილისის სააპელაციო სასამართლოში;
- წყალტუბოს რაიონული სასამართლოს მოსამართლე **თამარ სვანიძე**, გალი-გულრიფშის და ოჩამჩირე ტყვარჩელის რაიონული სასამართლოს მოსამართლე **გელა ქირია**, ფოთის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე **თეიმურაზ სინარულიძე**, სამტრედიის რაიონული სასამართლოს მოსამართლე **ნათია ქუთათელაძე**, აბაშის რაიონული სასამართლოს მოსამართლე **ხათუნა ხომერიკი**, წყალტუბოს რაიონული სასამართლოს მოსამართლე **ლევან მეშველიანი** და ხარაგაულის რაიონული სასამართლოს მოსამართლე **მარინა სირაძე** მივლინებულნი არიან ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში;
- გალი-გულრიფშის და ოჩამჩირე ტყვარჩელის რაიონული სასამართლოს მოსამართლე **ნინო კორძაძე** 2007-2008 წლებში მივლინებული იყო თბილისის საქალაქო სასამართლოში, 2008-2009 წლებში გორის რაიონულ სასამართლოში, 2009 წლიდან ბათუმის რაიონულ სასამართლოში;
- ხონის რაიონული სასამართლოს მოსამართლე **ვიოლეტა ფორჩხიძე**, თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე **ლია ავალაშვილი** მივლინებულნი არიან ბათუმის საქალაქო სასამართლოში;
- მარნეულის რაიონული სასამართლოს მოსამართლე **მერაბ ღვინიაშვილი** მივლინებულია ბოლნისის რაიონულ სასამართლოში;
- თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე **ეკა ზარნაძე** მივლინებულია გორის რაიონულ სასამართლოში, მანამდე უფლებამოსილებას ახორციელებდა მცხეთის რაიონულ სასამართლოში. ასევე ამ სასამართლოში მივლინებულნი არიან სიღნაღის რაიონული სასამართ-

³⁵ 2007-2008 წლებში უფლებამოსილებას ახორციელებდა ბორჯომის რაიონულ სასამართლოში, ხოლო 2008-2009 წლებში – ქუთაისის საქალაქო სასამართლოში.

ლოს მოსამართლე **მალხაზ ენუქიძე**, ხაშურის რაიონული სასამართ-
ლოს მოსამართლე **დავით მგელიაშვილი**, თბილისის საქალაქო სასა-
მართლოს მოსამართლე **რევაზ ნადოი**;

- ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე **მაკა გორგოძე**, საჩხ-
ერის რაიონული სასამართლოს მოსამართლე **მაია სვიანაძე**³⁶ მივლინებ-
ულნი არიან ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში;
- ჩხორონწყუს რაიონული სასამართლოს მოსამართლე **ირაკლი აბშილა-
ვა**, წალენჯიხის რაიონული სასამართლოს მოსამართლე **ლელა ცანავა**
მივლინებულნი არიან ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში;
- დედოფლისწყაროს რაიონული სასამართლოს მოსამართლე **შალვა
მჭედლიშვილი** 2005-2009 წლებში მოსამართლის უფლებამოსილებას
ახორციელებდა გურჯაანის რაიონულ სასამართლოში, 2009 წლიდან კი
– თელავის რაიონულ სასამართლოში. ზუგდიდის რაიონული სასამართ-
ლოს მოსამართლე **ბესარიონ ტაბალუა**, ახმეტის რაიონული სასამართ-
ლოს მოსამართლე **ნათელა ჯაშიაშვილი** მივლინებულნი არიან თელავ-
ის რაიონულ სასამართლოში;
- თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე **დიანა გოვატიშვილი**
მოსამართლის უფლებამოსილებას ახორციელებს მცხეთის რაიონულ
სასამართლოში, ხოლო თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამარ-
თლე **შორენა გუნცაძე** 2009 წლიდან მივლინებულია თეთრიწყაროს
რაიონულ სასამართლოში, მაშინ როდესაც თავად თბილისის საქალაქო
სასამართლოში არაერთი მოსამართლეა მივლინებული რეგიონული
საქალაქო სასამართლოებიდან;
- ლაგოდეხის რაიონული სასამართლოს მოსამართლე **გიორგი მაისურაძე**
მივლინებულია და მოსამართლის მოვალეობას ახორციელებს საგარე-
ჯოს რაიონულ სასამართლოში, მაშინ როდესაც საგარეჯოს რაიონული
სასამართლოს მოსამართლე **ილონა თოდუა** თბილისის საქალაქო სასა-
მართლოშია მივლინებული;
- მარნეულის რაიონული სასამართლოს მოსამართლე **ლაშა ჩხიკვაძე** მივ-
ლინებულია რუსთავის საქალაქო სასამართლოში. ქუთაისის სააპელა-
ციო სასამართლოს მოსამართლე **მურთაზ მეშველიანი** მოსამართლის
უფლებამოსილებას ახორციელებს ოზურგეთის რაიონულ სასამართ-
ლოში;
- თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე **თამაზ ჯალიაშვილი**
მივლინებული იყო თბილისის სააპელაციო სასამართლოში 2006-2007
წლებში, ამჟამად კი მოსამართლის მოვალეობას ახორციელებს სილ-
ნალის რაიონულ სასამართლოში;
- ჩხორონწყუს რაიონული სასამართლოს მოსამართლე **რევაზ ნადარაია**
მივლინებულია ფოთის საქალაქო სასამართლოში;
- ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს მოსამართლე **ლევან თევზაძე**,
სოხუმის და გაგრა-გუდაუთის რაიონული სასამართლოს მოსამართლე
გოჩა აბუსერიძე, ბაღდათის რაიონული სასამართლოს მოსამართლე

³⁶ 2009 წლის ივნისიდან სექტემბრამდე უფლებამოსილებას ახორციელებდა წყალტუბოს რაიონულ სასამართლოში და სექტემბრიდან ნოემბრამდე ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში.

თამარ ბურჯანაძე, ტყიბულის რაიონული სასამართლოს მოსამართლე **შოთა ნიკურაძე**³⁷ მოსამართლის უფლებამოსილებას ახორციელებენ ქუთაისის საქალაქო სასამართლოში;

- ცაგერის რაიონული სასამართლოს მოსამართლე **ზურაბ ყვავაძე** 2004-2008 წლებში მივლინებული იყო ბაღდათის რაიონულ სასამართლოში, ხოლო ამჟამად უფლებამოსილებას ახორციელებს ჩხორონწყუს რაიონულ სასამართლოში;
- გარდაბნის რაიონული სასამართლოს მოსამართლე **გიორგი გოგინაიშვილი** 2008-2009 წლებში ახორციელებდა მოსამართლის უფლებამოსილებას თბილისის საქალაქო სასამართლოში, 2009 წლის მაისიდან ივლისამდე თელავის რაიონულ სასამართლოში, აგვისტოში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში, სექტემბრის თვიდან ოქტომბრამდე ბათუმის საქალაქო სასამართლოში, ამჟამად მივლინებულია ხაშურის რაიონულ სასამართლოში;
- ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე **ანა ლელეყვა** 2009 წელს მივლინებული იყო ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში, ხოლო ამჟამად უფლებამოსილებას ახორციელებს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში.³⁸

ზემოთ მოყვანილი მონაცემები ემყარება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ოფიციალურ ვებ-გვერდს. დამატებითი ინფორმაციის მისაღებად საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ საჯარო ინფორმაციის მიღების მოთხოვნით იუსტიციის უმაღლეს საბჭოს მიმართა, მაგრამ ჩვენი მოთხოვნა რეაგირების გარეშე დარჩა.

როგორც ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, მოსამართლეთა უმრავლესობა არ ახორციელებს სამოსამართლო საქმიანობას თავის სასამართლოში.

მთავარი კითხვა, რომელიც ყოველთვის ჩნდება ამ ინსტიტუტთან მიმართებით, არის ის, თუ რამდენად საჭიროა მისი ამ მასშტაბით ამოქმედება. საქართველოს საერთო სასამართლოების სისტემაში აშკარად იკვეთება მოსამართლეთა ნაკლებობის ტენდენცია, შესაბამისად, მოსამართლეების მივლინების ნაცვლად, უნდა მოხდეს მათი დანიშვნა ამავე სასამართლოებში.

დღევანდელი მდგომარეობით, მოსამართლეთა რეზერვში ორმოცზე მეტი მოსამართლეა ჩარიცხული.³⁹ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 44-ე მუხლის (მანამდე მოქმედი კანონის 54¹ მუხლი) მიხედვით განსაზღვრულია პირობები, რომელთა არსებობის დროსაც ხდება მოსამართლის რეზერვში ჩარიცხვა. მაშინ, როდესაც ქვეყნის მასშტაბით არსებობს მოცულობითი სამოსამართლო რეზერვი, გაუგებარია მოქმედი მოსამართლეების გადაჯგუფება პრობლემის გადაჭრის გზით. გაცილებით უფრო ლოგიკური იქნებოდა საერთო სასამართლოებში მოსამართლეთა ნაკლებობის შევსება რეზერვში ჩარიცხული მოსამართლეების საშუალებით. წინააღმდეგ შემთხვევაში, რეზერვი უბრალოდ უფუნქციო გამოდის და იგი მოსამართლეთა

³⁷ მოსამართლე შოთა ნიკურაძე 2007-2009 წლებში მივლინებული იყო ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში, 2008-2009 წლებში ხარაგაულის რაიონულ სასამართლოში.

³⁸ წყარო: www.hcoj.gov.ge

³⁹ ვებ-გვერდი: www.hcoj.gov.ge

თანამდებობიდან გათავისუფლების ირიბ, მაგრამ ეფექტურ ღონისძიებად შეიძლება მივიჩნიოთ.

მოსამართლეთა დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად და სიტუაციის გამოსასწორებლად, აუცილებელია, რომ მოსამართლის სხვა სასამართლოში მივლინება შემდეგი პირობების დაცვით განხორციელდეს:

- სხვა სასამართლოში მოსამართლის მივლინების შემთხვევაში, აუცილებელი პირობა უნდა იყოს მოსამართლის თანხმობა; ამავე დროს, მოსამართლის უარი უნდა იყოს დასაბუთებული;
- როდესაც მოსამართლე სხვა სასამართლოში მივლინებულია საქმეების სიმრავლის გამო, აუცილებელ პირობად უნდა იყოს მითითებული კონკრეტული საქმეების შემცირების ან გარკვეულ რაოდენობამდე დაყვანის შემდეგ მოსამართლის უკან დაბრუნების საკითხი;
- მოსამართლის მივლინება სხვა სასამართლოში მოსამართლეთა არასაკმარისი რაოდენობის გამო უნდა განხორციელდეს ფიქსირებული ვადით, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 6 თვეს (შემდგომში სხვა მოსამართლისთვის უფლებამოსილების დაკისრების პირობით), ან კონკრეტულ თანამდებობაზე მუდმივი მოსამართლის დანიშვნამდე (რომელიც ასევე მოითხოვს მაქსიმალური ვადის ფიქსაციას);
- მოსამართლის მივლინების შემთხვევაში, სახელმწიფომ უნდა იკისროს მოსამართლის ოჯახის წევრების სოციალური დაცვა;⁴⁰
- მოსამართლის მივლინების ფარგლები უნდა იყოს კანონით დადგენილი და უნდა განისაზღვროს მხოლოდ ტერიტორიულად ახლომდებარე სასამართლოებით, რათა მოსამართლემ საკუთარ სოციალურ გარემოსთან დაშორების გარეშე შეძლოს უფლებამოსილების განხორციელება. გამონაკლის შემთხვევებში, აუცილებელია მოსამართლის თანხმობა;
- მოსამართლეთა მივლინება ასევე შეიძლება განხორციელდეს დისციპლინური სახდელის სახითაც.

აღნიშნული პირობების დაცვა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის აზრით, გამოიწვევს მოსამართლეთა მივლინების წესის გაუმჯობესებას. აღნიშნულით მაქსიმალურად გამოირიცხება შესაძლო მანიპულაციები მოსამართლეთა დამოუკიდებლობის საწინააღმდეგოდ.

საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სახელფასო უზრუნველყოფა

საქართველოს კანონი „მოსამართლეთა სოციალური და სამართლებრივი დაცვის გარანტიების შესახებ“ განსაზღვრავს მოსამართლეთა შრომის ანაზღაურების წესს.

⁴⁰ მოსამართლეთა სოციალური დახმარების შესახებ საქართველოს კანონმდებლობა აღნიშნულ დებულებას არ შეიცავს.

კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, „მოსამართლეთა შრომის ანაზღაურება შედგება თანამდებობრივი სარგოსა და კანონმდებლობით დადგენილი დანამატისგან“.

თანამდებობრივი სარგო განისაზღვრება საქართველოს კანონით „საერთო სასამართლოების მოსამართლეთა შრომის ანაზღაურების შესახებ“, რომლის პირველი მუხლის მიხედვით, დადგენილია შრომის ანაზღაურების ზუსტი ოდენობა ყველა ინსტანციის მოსამართლის მიმართ. ასევე, განსაზღვრულია, რომ „საერთო სასამართლოებში საქმეთა განაწილებისა და უფლებამოსილების სხვა მოსამართლისთვის დაკისრების წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის საფუძველზე, სხვა სასამართლოში მივლინებული მოსამართლის შრომის ანაზღაურება ხორციელდება შესაბამისი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით, თუ ასეთი თანამდებობრივი სარგოს ოდენობა აღემატება მოსამართლის თანამდებობრივი სარგოს ოდენობას იმ სასამართლოში, რომელშიც იგი დანიშნულია კანონით დადგენილი წესით.

რაც შეეხება თანამდებობრივი სარგოს დანამატს, მისი განსაზღვრა ხდება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით. ამჟამად აღნიშნულს აწესრიგებს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის №1/87 გადაწყვეტილება „საერთო სასამართლოების მოსამართლეთათვის თანამდებობრივ სარგოზე დანამატის განსაზღვრისა და საცხოვრებელი ფართობით უზრუნველყოფის ხარჯების ანაზღაურების წესის შესახებ“, რომელშიც ჩამოთვლილია სხვადასხვა პირობა, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც, იუსტიციის უმაღლესი საბჭო განსაზღვრავს სახელფასო დანამატს, მათ შორის:

1. კონკრეტული მოსამართლის დატვირთულობისა და/ან განსახილველ საქმეთა სირთულის გათვალისწინებით;
2. კონკრეტული რაიონული და სააპელაციო სასამართლოს დატვირთულობის გათვალისწინებით;
3. „საერთო სასამართლოებში საქმეთა განაწილებისა და უფლებამოსილების სხვა მოსამართლისათვის დაკისრების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის საფუძველზე ორზე მეტ სასამართლოში მივლინების შემთხვევაში;
4. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-17 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილების დაკისრების შემთხვევაში;
5. გაერთიანებული სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილების განხორციელების შემთხვევაში;
6. მოსამართლის უფლებამოსილების მუდმივი საცხოვრებელი ადგილიდან მოშორებით განხორციელების შემთხვევაში;
7. სხვა განსაკუთრებულ შემთხვევაში.

მოსამართლეთა დანამატის განსაზღვრის რამდენიმე საფუძველი ძალიან სუბიექტურია და შეიძლება გახდეს სასამართლოს დამოუკიდებლობის საწინააღმდეგო თავისი შინაარსით.

მაგალითად, მოსამართლისთვის განსახილველი საქმის სირთულის მიხედვით დანამატის მიცემა. აღნიშნული კრიტერიუმი, ჩვენი აზრით, ძალიან სუბიექტურია შემდეგ გარემოებათა გამო: 1. სასამართლოში საქმეთა განაწილება ხდება ობიექტური კრიტერიუმის საფუძველზე, შესაბამისად, იმ მოსამართლეს, რომელმაც, სამწუხაროდ, ვერ მიიღო მნიშვნელოვანი სამართლებრივი პრობლემის შემცველი საქმე, ჩვეულებრივ ხელფასს მიიღებს. 2. გარდა ამისა, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობაში არ შედის მოსამართლეთა გადანაცვეტილების შემომწება მათი სირთულისა და სიმარტივის მხრივ.

პირობები, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც შესაძლებელია დანამატის მიღება, არ არის ამომწურავი. კერძოდ, ჩამონათვალში მითითებული „სხვა განსაკუთრებული შემთხვევა“ გაუმართლებლად ზრდის იმ საფუძველთა რიცხვს, რომელთა გამოც შესაძლებელია დანამატის მიღება.

გარდა ამისა, მოსამართლის სხვა სასამართლოში მივლენის შემთხვევაში, მოსამართლის მიმართ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გამოიყენება ერთი ან ახალი დანამატი ძველთან ერთად.

დანამატთან მიმართებით ერთ-ერთი მთავარი პრობლემა არის მისი ოდენობა.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ზემოაღნიშნული გადანაცვეტილების ამოქმედებამდე მოქმედი საკანონმდებლო აქტები აწესებდნენ მაქსიმუმს, რომლის ფარგლებშიც ხდებოდა დანამატის განსაზღვრა. კერძოდ, დანამატის მაქსიმუმი იყო სარგოს ორმაგი ოდენობა.⁴¹ დღეს არ არსებობს არანაირი შეზღუდვა, რაც გაუმართლებელია.

მთავარი პრობლემა ამ კუთხით არის ის, რომ დღევანდელ სიტუაციაში მოსამართლეების მიმართ არსებობს სახელფასო ანაზღაურების მიღების შესაძლებლობა სუბიექტური კრიტერიუმებით. მოსამართლეთა ნებისმიერი თანამდებობრივი ანაზღაურების გამოთვლის წესი უნდა იყოს ობიექტურ საფუძველზე დამყარებული. მოსამართლეები სხვისგან განსხვავებულ ანაზღაურებას მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა იღებდნენ, როდესაც აღნიშნული განპირობებულია სხვადასხვა მნიშვნელოვანი ობიექტური აუცილებლობით.

იმის გასარკვევად, თუ რომელმა მოსამართლეებმა მიიღეს სახელფასო დანამატი 2007, 2008 და 2009 წლებში, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ საჯარო ინფორმაციის მიღების მოთხოვნით მიმართა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს. სამწუხაროდ, ისევე, როგორც სხვა მრავალ შემთხვევაში, ჩვენი წერილი უპასუხოდ დარჩა. შესაბამისად, უცნობია იმ მოსამართლეთა ვინაობა, რომლებიც ყველაზე ხშირად იღებდნენ სახელფასო დანამატს, ასევე ის, თუ რა რაოდენობის თანხაში გამოიხატებოდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს „მადლიერება“ კონკრეტული მოსამართლის მიმართ.

⁴¹ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 25 სექტემბრის გადანაცვეტილება №1/202-2007.

სასამართლოს საქმიანობის ხელშეწყობელი პირობები

მოსამართლე, როგორც საჯარო მოხელე

საქართველოს კონსტიტუცია განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს მოსამართლის დამოუკიდებლობაზე, როგორც სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის მთავარ გარანტიაზე. მოსამართლის დამოუკიდებლობა მეტად ფართო ცნებაა და მრავალ ასპექტს მოიცავს, მათ შორის – მოსამართლეების თანამდებობაზე დანიშვნის წესს, თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძვლებს, დაკავებისა და იუსტიციური ორგანოების მხრიდან უკანონო ჩარევისგან დაცვას, მის საქმიანობაში ჩაურევლობის წესს და სხვა ძირითად პრინციპებს.

მოსამართლის დამოუკიდებლობის ერთ-ერთი მთავარი კომპონენტია ასევე სასამართლოს შიგნით დამოუკიდებლობა. ამა თუ იმ სასამართლოს ყველა მოსამართლე თანასწორია. თითოეული მათგანი ახორციელებს ერთგვაროვან საქმიანობას. შესაბამისად, სასამართლოს შიგნითვე უნდა არსებობდეს დამოუკიდებლობა და საკმარისი შესაძლებლობა იმისა, რომ მოსამართლე არ მოექცევა არათანაზომიერი ზეგავლენის ქვეშ. სასამართლოს თავმჯდომარეს არ უნდა ჰქონდეს უფლება, მიიღოს რაიმე შემზღვეველი აქტი კონკრეტული მოსამართლის მიმართ. მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, ორივე მათგანი ერთი და იგივე დონის მოსამართლეა, იმ განსხვავებით, რომ თავმჯდომარე დამატებით ახორციელებს ადმინისტრაციულ უფლებამოსილებებს.

ვენეციის კომისიის კვლევის თანახმად, „სამოსამართლო დამოუკიდებლობა არ გულისხმობს მხოლოდ სასამართლოს დამოუკიდებლობას ხელისუფლების სხვა ორგანოებისგან. ის ასევე მოიცავს დამოუკიდებლობის „შიდა“ ასპექტს. საქმის განხილვის დროს მოსამართლე დამოუკიდებელი უნდა იყოს არა მხოლოდ სხვა მოსამართლეების, არამედ სასამართლოს თავმჯდომარისა ან სხვა (სააპელაციო ან ზემდგომი) სასამართლოს მოსამართლეებისგანაც.“⁴² იგივე აზრია გატარებული ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს მიერაც⁴³ – „სასამართლო, საქმის გადაწყვეტისას, არ ემორჩილება არავის, როგორც სასამართლოს შიგნით, ისე გარეთ. მოსამართლეს არ ჰყავს ზემდგომი, ვის წინაშეც იგი ანგარიშვალდებული იქნება. ის ემორჩილება მხოლოდ კანონს და სხვა არავის.“ შესაბამისად, მხოლოდ კანონით შეიძლება დაეკისროს მოსამართლეს კონკრეტული საქმიანობის შესრულების ვალდებულება და არა, მაგალითად, სასამართლოს ან პალატა-კოლეგიის თავმჯდომარის მიერ.

რა მდგომარეობაა ამ მხრივ საქართველოს საერთო სასამართლოების სისტემაში?

საქართველოს საერთო სასამართლოების სისტემაში მოსამართლეთა ყოველდღიურ საქმიანობას არეგულირებს შინაგანანესი, რომელიც მოსამართლეებს ავალდებულებს, ყოველდღიურად გამოცხადდნენ სასამართლოში დათქმულ დროს და მთელი სამუშაო დროის მანძილზე იყვნენ ადგილზე. გარდა ამისა, მათ

⁴² 2008 წლის 3 ოქტომბერი, CDL-JD(2008)002.

⁴³ 2003 წლის №1 მოხსენება, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: http://www.coe.int/t/DGHL/cooperation/ccje/default_en.asp.

ეკისრებათ ვალდებულება, ყოველდღიურად დაადასტურონ თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დაწყების და დასრულების დრო. მაგალითად, თბილისის სააპელაციო სასამართლოში მოქმედი შინაგანაწესის მიხედვით, რომელიც დამტკიცებულია სასამართლოს თავმჯდომარის მიერ და მისი მოქმედება ვრცელდება საერთო სასამართლოების მოსამართლეებზე, მოსამართლეები ვალდებული არიან, სასამართლოში გამოცხადდნენ 9:30 წუთზე და ნახევარსაათიანი დასვენების პირობებში იმუშაონ 18:00 საათამდე. საპატიო მიზეზით სამსახურის გაცდენის შემთხვევაში, აუცილებელია სასამართლოს თავმჯდომარის გაფრთხილება.⁴⁴ **მაშასადამე, მოსამართლე, სხვა საჯარო მოხელის მსგავსად, ვალდებულია სამსახურში იყოს კონკრეტული სამუშაო საათების განმავლობაში.**

აუცილებელია თუ არა მოსამართლის ყოველდღიური საქმიანობის ისეთივე დეტალური რეგულირება, როგორც ეს ჩვეულებრივ საჯარო მოხელესთან მიმართებით ხდება? ჩვენი აზრით – არა. საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, მოსამართლის საქმიანობა მიმართულია მართლმსაჯულების განხორციელების სკენ. მართლმსაჯულების ეფექტურად განხორციელების მიზნით კი, საკმარისია მოსამართლის გამოცხადება სასამართლო პროცესებზე და საქმის დროული განხილვა. მოსამართლის ყველა სხვა დანარჩენი ვალდებულება მეორეხარისხოვანია. მაგალითისთვის, ესტონეთის კანონმდებლობა მოსამართლეებს ანიჭებს სრულ თავისუფლებას სამუშაო დროის განსაზღვრის მხრივ. კერძოდ, ესტონეთის სასამართლოების შესახებ კანონის⁴⁵ მე-6 მუხლი ადგენს, რომ მოსამართლე თავის სამუშაო საათებს განსაზღვრავს დამოუკიდებლად. თუმცა, მოსამართლე ვალდებულია, არ დაარღვიოს საქმის განხილვის ვადები.

ესტონეთის მოდელის მიხედვით, მოსამართლე თავისუფალი უნდა იყოს სამუშაო საქმიანობის განსაზღვრისას. ნებისმიერ შემთხვევაში, სასამართლოს ესაჭიროება მოსამართლისგან საქმის დროულად და კანონიერად გადაწყვეტა. საქართველოს საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით, მოსამართლეებს აქვთ ვალდებულება, კონკრეტულ ვადაში გამოიტანონ გადაწყვეტილება. შესაბამისად, მოსამართლეს აქვს შესაძლებლობა, თავად განსაზღვროს, რა ინტენსივობით და სიხშირით სჭირდება სამსახურში გამოცხადება იმისთვის, რომ საქმის დროული განხილვა მოხდეს. მოსამართლისთვის სამსახურში დროულად გამოცხადების ვალდებულების დაკისრება, ვფიქრობთ, გარკვეულწილად ლახავს მოსამართლის დამოუკიდებლობას, განსაკუთრებით იმ ფონზე, როდესაც შინაგანაწესის დარღვევა მოსამართლის მიმართ დისციპლინური დევნის დაწყების საფუძველია.⁴⁶ გარდა ამისა, მოსამართლის მხრიდან სასამართლოს თავმჯდომარის წინასწარი გაფრთხილების ვალდებულება, მაგალითად, გაცდენის საპატიოდ ჩასათვლელად, აკანონებს მოსამართლეების რანგირებას ერთი ინსტანციის შიგნით. სასამართლოს თავმჯდომარე, დღევანდელი გადმოსახედიდან, ზემდგომი საჯარო მოხელეა, რომელიც აკონტროლებს მოსამართლის სამუშაო დისციპლინას.

⁴⁴ შინაგანაწესის მე-14 მუხლი.

⁴⁵ კოდექსის ინგლისური ვარიანტი ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <http://www.legislationline.org/documents/action/popup/id/5731> [ბოლოს ნანახია 2010 წლის იანვარში].

⁴⁶ საქართველოს კანონი „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ კანონის მე-2 მუხლის მეორე პუნქტის „კ“ ქვეპუნქტი.

შესაბამისად, მოსამართლეს არ აქვს მისი მაღალი თანამდებობის შესაბამისი დამოუკიდებლობის შეგრძნება. ამ მიზნით, აუცილებელია, **ცვლილება განხორციელდეს სასამართლოთა შინაგანაწესებში და მოსამართლეებს მიეცეთ დამოუკიდებლობა სამუშაო საათების განსაზღვრისას. მოსამართლის მიერ შრომის დისციპლინის დარღვევა ასევე უნდა იქნეს ამოღებული დისციპლინური დევნის საფუძვლების ჩამონათვალიდან.**

სახელმძღვანელო პრინციპები და წინადადებები ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისთვის

საერთო სასამართლოების შესახებ კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე.“ რამდენად ხდება აღნიშნული პრინციპის ცხოვრებაში გატარება?

სასამართლო პრაქტიკის შესწავლის, განზოგადების და საერთო სასამართლოების მოსამართლეთათვის სახელმძღვანელო წინადადებების განსაზღვრის მიზნით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 5 თებერვლის №3 ბრძანებით დამტკიცდა მუდმივმოქმედი კომისიის შემადგენლობა.

კომისიის მიერ შემუშავებული წინადადებები პერიოდულად გადაეგზავნება საერთო სასამართლოების მოსამართლეებს. კომისიის მიერ ხდება ორი ტიპის დოკუმენტის შემუშავება – **სახელმძღვანელო წინადადებები და რეკომენდაციები.**

სახელმძღვანელო რეკომენდაციები არის ყველაზე გავრცელებულ დანაშაულებზე კომისიის მიერ შემუშავებული წინადადებები სასჯელებთან და დანაშაულის შემადგენლობის კვალიფიკაციის საკითხებთან დაკავშირებით.

რეკომენდაციები გულისხმობს სხვადასხვა პრობლემურ საკითხზე კომისიის მიერ შემუშავებულ წინასწარ განსაზღვრულ მითითებებს მოსამართლეთა მიმართ. მისი მიზანია სხვადასხვა ნორმათა პრაქტიკული გამოყენების წესის განსაზღვრა.

კომისიის მიერ შემუშავებული სახელმძღვანელო წინადადებები და რეკომენდაციები ფორმალურად მიზნად ისახავს ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის დამკვიდრებას. თუმცა, ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკა უნდა მიიღწეოდეს ბუნებრივად, ყოველგვარი ხელოვნური ჩარევების გარეშე. მოსამართლე უნდა ემორჩილებოდეს მხოლოდ კანონს და კონსტიტუციას. კანონის განმარტება კონკრეტული საქმის განმხილველი მოსამართლის მიერ უნდა ხდებოდეს შესაბამისი ახსნა-განმარტების მეთოდების მიხედვით. მოსამართლისთვის ფორმალურად სავალდებულო არ არის ზედა ინსტანციის მიერ კანონისთვის მიცემული განმარტება.⁴⁷ ამის მხოლოდ ზოგადი ვალდებულება არსებობს,

⁴⁷ გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ზედა ინსტანცია სავალდებულო მითითებას ახდენს ქვედას მიმართ საქმის ან საჩივრის განსახილველად გადაგზავნისას.

ვინაიდან შესაძლებელია, გასაჩივრების პროცედურით შეიცვალოს გადაწყვეტილება, შესაბამისად, სწორედ ამ დროს ხდება ერთიანი მიდგომის ჩამოყალიბება სამართლებრივ საკითხებთან მიმართებით.

მოსამართლეთა მიმართ არასამოსამართლო სფეროს ზეგავლენა დაუშვებელია. უზენაესი სასამართლოს ზემოთ ხსენებული კომისიის მიერ დამტკიცებული სახელმძღვანელო პრინციპები და რეკომენდაციები შემუშავებულია არასამოსამართლო პერსონალის⁴⁸ მიერაც, ასევე, ბევრი ისეთი სფეროა განმარტებული კომისიის მიერ, რომელთა შესახებ არ არსებობს უზენაესი ან შესაბამისი ქვედა ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებები.

აღნიშნული თავისთავად არის სასამართლოს დამოუკიდებლობის კონსტიტუციურ პრინციპებთან არათავსებადი, რადგან მოსამართლეს განმარტებას აძლევს გარეშე პირი.

ასევე მიუღებლად მიგვაჩნია ის, რომ მოსამართლეთა მიმართ მოხდეს სავალდებულო განმარტების მიცემა კანონის ინტერპრეტაციის ან სასამართლო გადაწყვეტილების მიღების მიზნით. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის მიხედვით, მოსამართლე, პირის მსჯავრდების შემთხვევაში, სასჯელს ნიშნავს სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. სახელმძღვანელო პრინციპების მიხედვით კი, სასჯელების განსაზღვრა ხდება წინასწარ.

ამრიგად, აუცილებლად მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ საქართველოს საერთო სასამართლოების სისტემაში ერთიანი პრაქტიკის ჩამოყალიბება მოხდეს მხოლოდ კანონის გზით და ზემდგომი სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების პრეხენტაციით. არ შეიძლება მართლმსაჯულების განხორციელების იმპერატივების წინასწარ განსაზღვრა რამდენიმე ადამიანის მიერ. მართალია, სახელმძღვანელო პრინციპებს და რეკომენდაციებს არ აქვს სავალდებულო ხასიათი, მაგრამ მათი მოქმედება პრაქტიკულად სავალდებულოა, რადგან ისინი უზენაესი სასამართლოს ეგიდით არიან მომზადებულნი. საბოლოო ჯამში, აღნიშნული პროექტი წარმოადგენს ერთიანი პრაქტიკის ჩამოყალიბების ხელოვნურ მცდელობას, რომელიც სათუოს ხდის დასახული მიზნის რეალიზაციას და მოსამართლეთა დამოუკიდებლობის ხელშემშლელ ფაქტორს წარმოადგენს.

სასამართლოს თავმჯდომარის როლი საერთო სასამართლოებში

საქართველოს საერთო სასამართლოებში შემავალ სამივე ინსტანციის სასამართლოს ჰყავს თავმჯდომარეები, რომლებიც წარმოადგენენ მოქმედ მოსამართლეთა. საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარისგან განსხვავებით, პირველი ორი ინსტანციის სასამართლოს თავმჯდომარეების საქმიანობა არ არის სპეციფიკური მომენტებით გამორჩეული, რადგან ისინი არ არიან იუსტიციის უმაღლესი საბჭოს *ex officio* წევრები და, ამასთან, არ ახორციელებენ საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებულ უფლებამოსი-

⁴⁸ მათ შორის არიან მოსამართლეთა თანაშემწეები და სასამართლოთა ადმინისტრაციული თანამდებობის პირები (მაგალითად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის ბიუროს მთავარი კონსულტანტი).

ლებებს. შესაბამისად, საინტერესოა, რა სფეროებს მოიცავს მათი საქმიანობა და რამდენად ახორციელებენ ისინი სამოსამართლო უფლებამოსილებებს.

რაიონული (საქალაქო) სასამართლოს თავმჯდომარეს ამ სასამართლოს მოსამართლეთაგან თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო. ხოლო იმ სასამართლოში, სადაც შექმნილია სასამართლო კოლეგიები, თავმჯდომარე ინიშნება სასამართლო კოლეგიათა თავმჯდომარეთაგან, 5 წლის ვადით, მაგრამ არა უმეტეს სამოსამართლო უფლებამოსილების ვადისა. რაიონული სასამართლოს თავმჯდომარე:⁴⁹

- პირადად იხილავს საქმეებს, თავმჯდომარეობს ერთ-ერთ სასამართლო კოლეგიას;
- ხელმძღვანელობს სასამართლოს აპარატის მუშაობას, კანონმდებლობით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს სასამართლო აპარატის მოსამართლეებს და სხვა თანამშრომლებს, შეუფარდებს მათ დისციპლინურ სახდელებს;
- კანონით დადგენილი წესით, განსახილველად ანანილებს რაიონული (საქალაქო) სასამართლოს განსჯადობას მიკუთვნებულ საქმეებს;
- ორგანიზებას უწევს სასამართლოს მუშაობას;
- იღებს მოქალაქეებს და უზრუნველყოფს მათი განცხადებების, საჩივრებისა და წინადადებების დროულ განხილვას;
- კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოფს სასამართლო პრაქტიკის, მოქალაქეთა განცხადებების, საჩივრებისა და წინადადებების განზოგადებას და მასალების წარდგენას საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში;
- შეისწავლის სასამართლოში საქმეთა განხილვის გაჭიანურების მიზეზებს და შესაბამის მასალებს წარუდგენს საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს;
- უზრუნველყოფს სასამართლოში წესრიგის დაცვას. სასამართლო სხდომის უსაფრთხოების მიზნით, უფლებამოსილია დაადგინოს სხდომის დაწყებამდე პროცესის მონაწილეებისა და დამსწრე პირების შემოწმება და სასამართლოს შენობასა ან სხდომის დარბაზში ცალკეული საგნების შეტანის აკრძალვა. ასევე უფლებამოსილია, დარბაზის ფართობიდან გამომდინარე, შეზღუდოს სასამართლო სხდომაზე დამსწრე პირთა რაოდენობა;
- სასამართლოს წესრიგის დამრღვევთა მიმართ საპროცესო იძულებითი ღონისძიების გამოყენების საკითხის განხილვა;
- კანონით დადგენილი სხვა უფლებამოსილებების განხორციელება.

მიუხედავად იმისა, რომ საერთო რაიონული სასამართლოს თავმჯდომარე ახორციელებს გარკვეულ ადმინისტრაციულ ფუნქციებს, მნიშვნელოვანია მის მიერ სამოსამართლო უფლებამოსილებების შესრულება.

დღევანდელი მდგომარეობით, საერთო სასამართლოების (რაიონული და

⁴⁹ საქართველოს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“, 25-ე და 32-ე მუხლები.

სააპელაციო) თავმჯდომარეები არ ახორციელებენ სამოსამართლო საქმიანობას. მაგალითად:

- ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიერ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციისთვის გამოგზავნილი 2009 წლის 24 ნოემბრის წერილის შესაბამისად, სასამართლოს მოქმედი თავმჯდომარე შაქრო აბუსერიძე არ ასრულებს სამოსამართლო უფლებამოსილებებს და ახორციელებს მხოლოდ ადმინისტრაციულ ფუნქციებს;
- თბილისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 30 ნოემბრის წერილის მიხედვით, სასამართლოს თავმჯდომარე გიორგი შავლიაშვილის მიერ 2007, 2008 და 2009 წლებში განხილულ იქნა სულ 1 საქმე;⁵⁰
- თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის მიერ სულ განხილულ იქნა 1 საქმე ზეპირი მოსმენით;
- ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარეს არც ერთი საქმე არ აქვს განხილული ზეპირი მოსმენით.⁵¹

ვფიქრობთ, ეს არის სასამართლოებში შტატების ნაკლებობის ერთ-ერთი მიზეზი. როდესაც თბილისის საქალაქო სასამართლოში – მარტო სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში – სხვა სასამართლოდან მივლენილია 8 მოსამართლე⁵² და სასამართლოს თავმჯდომარე არ იხილავს არც ერთ საქმეს, ალოგიკური სიტუაცია იქმნება. ვფიქრობთ, სასამართლოს აპარატის დახმარებით, სასამართლოს თავმჯდომარე საქმეების განხილვასთან ერთად შეძლებდა ადმინისტრაციულ-ტექნიკური ფუნქციის განხორციელებასაც. თბილისის საქალაქო სასამართლოს დღეს მოქმედი თავმჯდომარე, თავის მხრივ, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრია. თუმცა, როგორც ზევით აღვნიშნეთ, ის რეალურად არ ახორციელებს სამოსამართლო უფლებამოსილებას. შესაბამისად, კონსტიტუციის დანაწესი, რომელიც მოითხოვს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში სასამართლოს წარმომადგენლების უმრავლესობის არსებობას, დღეს მხოლოდ ზედაპირულად სრულდება. თუკი მოსამართლე თავისი დანიშვნის დღიდან არ განიხილავს საქმეებს და მხოლოდ ადმინისტრაციული მოვალეობის განხორციელებით არის დაკავებული, ის რეალურად ვერ შეძლებს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლობას. დღევანდელი მდგომარეობით, სასამართლოს თავმჯდომარე უბრალოდ სასამართლოს ადმინისტრატორია.

ალბანეთის საკონსტიტუციო სასამართლომ 2006 წლის 22 მაისის გადაწყვეტილებაში განაცხადა, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი მოქმედი მოსამართლე უნდა იყოს. იმ შემთხვევაში, თუკი მოსამართლე არ ახორციელებს უფლებამოსილებებს და ისეა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი, არ არსებობს შესაბამისი დამოუკიდებლობის და მიუკერძოებლობის გარანტიებიც.⁵³

⁵⁰ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მიერ გამოგზავნილი წერილის მიხედვით, სასამართლოს თავმჯდომარის მიერ საკმაო რაოდენობის საქმეების განხილვა ხორციელდება, რაც კიდევ ერთხელ გვაფიქრებინებს, რომ მათ საქმიანობის სრული შესაძლებლობა აქვთ ადმინისტრაციულ ვალდებულებებთან ერთად. იგივე შემთხვევა არის სახეზე რუსთავის შემთხვევაში.

⁵¹ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 24 ნოემბრის და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 27 ნოემბრის წერილები საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიმართ.

⁵² წყარო: ვებ-გვერდი www.hcoj.gov.ge

⁵³ გადაწყვეტილება №2006-2-001. ვებ-გვერდი: <http://www.codices.coe.int/NXT/gateway.l?f=templates&fn=default.htm>

საქართველოს კონსტიტუცია, ისევე როგორც კანონი საერთო სასამართლოების შესახებ, არ გვთავაზობს მოსამართლეთა რანგირებას. სასამართლოს და კონკრეტული კოლეგიის თავმჯდომარის მიმართ საქართველოს კანონმდებლობა ადგენს, რომ ისინი ასევე არიან ჩვეულებრივი მოსამართლეები და რომ დამატებით ახორციელებენ სხვადასხვა ფუნქციას, რაც განაპირობებს, თუნდაც ჩვეულებრივ მოსამართლეზე მეტ სახელფასო ანაზღაურებას და სხვა გარანტიებს. მაგრამ, თუკი მათ მიერ საერთოდ არ განხორციელდება ჩვეულებრივი მოსამართლის ფუნქციები, სახეზე იქნება აშკარად უსამართლო მდგომარეობა და სასამართლო გადაიქცევა რიგით საჯარო დანესებულებად, სადაც არსებობს ხელმძღვანელი, რომელიც უბრალოდ ზედამხედველობს სხვათა მიერ კანონის გამოყენებას და მეტს არაფერს.

საქართველოს საერთო სასამართლოების სისტემაში შეინიშნება ტენდენცია, რომლის მიხედვითაც, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე მოიხსენიება, როგორც „სასამართლო ხელისუფლების პირველი პირი“.⁵⁴ აღნიშნული, ერთი შეხედვით, არ არის განსაკუთრებით დიდი პრობლემა, მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ, რომ მოსამართლეები სრულიად თანასწორნი არიან, აღნიშნული ტერმინი გარკვეული დისკრედიტაციის შემცველია. ნებისმიერ მოსამართლეს უნდა ჰქონდეს იმის განცდა, რომ მას არ ჰყავს „უფროსი“ ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით. პირველი პირის არსებობა თავისთავად გულისხმობს ქვემდგომსაც. მიდგომა არის აშკარად არასწორი და საჭიროებს გამოსწორებას. სასამართლო ხელისუფლებას არ ჰყავს არც ზემდგომი, არც ქვემდგომი როგორც შიგნით, ისე სხვა შტოების ფარგლებში.

მოსამართლეთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა

2007 წლის 4 ივლისამდე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის სამოხელეო დანაშაულის თავში, კერძოდ, 336-ე მუხლის მიხედვით, დასჯადი იყო: **„უკანონო განაჩენის ან სხვა სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანა.“** მეორე ნაწილით გათვალისწინებული იყო დანაშაულის შემადგენლობა: **„უკანონო განაჩენის გამოტანა, რისთვისაც დანიშნულია სასჯელად თავისუფლების აღკვეთა.“**

2007 წლის 8 ივნისს საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის მიერ ინიცირებულ იქნა კანონპროექტი,⁵⁵ რომელიც მიზნად ისახავდა 336-ე მუხლის დეკრიმინალიზაციას. კანონპროექტის განმარტებით ბარათში⁵⁶ მითითებული იყო საკანონმდებლო ცვლილებების მიზეზი – **სასამართლოს საქმიანობაში ჩაურევლობა და მისი დამოუკიდებლობის პრინციპების უზრუნველყოფა.** კანონის ძირითად არსად მითითებული იყო: **„კანონპროექტი ითვალისწინებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის დეკრიმინალიზაციას. კერძოდ, კოდექსიდან ხდება 336-ე მუხლის ამოღება, რომელიც აწესებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას უკანონო განაჩენის ან სხვა სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანისათვის.“**

⁵⁴ აღნიშნული ტერმინი ხშირად შეინიშნება საქართველოს უზენაესი სასამართლოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე: http://www.supremecourt.ge/News.aspx?sec_id=39&lang=1&news_id=639

⁵⁵ კანონპროექტი იხილეთ ვებ-გვერდზე: <http://www.civilinlaw.org/Project/p176.pdf>

⁵⁶ ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <http://www.civilinlaw.org/Project/g176.pdf>

მიგვაჩნია, რომ განაჩენის ან სხვა სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერების დადგენა ზემდგომ ინსტანციის სასამართლოს კომპეტენციას განეკუთვნება და აღნიშნული არ უნდა წარმოადგენდეს მოსამართლის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების საფუძველს. წარმოდგენილი კანონპროექტის მიღება ხელს შეუწყობს სასამართლოს დამოუკიდებლობის განმტკიცებას.”

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, განაჩენი უნდა პასუხობდეს სამ მოთხოვნას – კანონიერებას, დასაბუთებულობას და სამართლიანობას.⁵⁷ რომელიმეს დარღვევა წარმოადგენს აპელაციის და შემდგომ კასაციის საფუძველს. სწორედ გასაჩივრების გზით უნდა ხდებოდეს სასამართლოს შესაძლო შეცდომების გამოსწორება და, შესაბამისად, საბოლოოდ უტყუარი გადაწყვეტილების გამოტანა. სასამართლოს საქმიანობაში ნებისმიერი სხვა ფორმით ჩარევა დაუშვებელია. განაჩენსა ან სხვა გადაწყვეტილებაში რაიმე ცვლილების შეტანა შეიძლება მხოლოდ სასამართლოს წესით. ეს პრინციპი განმტკიცებულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-8 მუხლით. დღეს უკვე გაუქმებული მუხლი პროკურორს აძლევდა შესაძლებლობას, დაენყო სისხლისსამართლებრივი დევნა იმ მოსამართლის მიმართ, რომელიც გამოიტანდა „უკანონო“ განაჩენს. ქმედების დანაშაულად დაკვალიფიცირებისათვის აუცილებელი წინაპირობა არ იყო „უკანონო“ განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა. ასევე, არ იყო გამოყოფილი ის შემთხვევები, როდესაც „უკანონო“ განაჩენის გამოტანა ეფუძნებოდა მოსამართლის შინაგან რწმენას. ბრალდების მხარე აღჭურვილი იყო უფლებამოსილებით, რომელიც აშკარად დომინანტის როლში აქცევდა მას პროცესში. მოსამართლე, ნებისმიერ შემთხვევაში, „იყო დაშინებული“, რათა არ გამოეტანა ბრალდებისთვის არასასურველი გადაწყვეტილება. პროკურორს ყოველთვის შეეძლო, აპელაციის საფუძველები გამოეყენებინა მოსამართლის სისხლისსამართლებრივი დევნისთვის.

საქართველოს კონსტიტუციის 85-ე მუხლის მიხედვით, სამართალწარმოება ხორციელდება შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე. შეჯიბრებითობა კი, თავის მხრივ, სამ სუბიექტს და, შესაბამისად, სამ ფუნქციურ როლს გულისხმობს – სასამართლო, დაცვა, ბრალდება. თითოეული დამოუკიდებელია და სხვის საქმიანობაში არ ერევა. როდესაც პროკურორი უფლებამოსილი იყო, სისხლისსამართლებრივი დევნა დაენყო მოსამართლის მიმართ, ეს აშკარად იწვევდა ბალანსის დარღვევას.

ერთადერთი შემაკავებელი როლი ჰქონდა პარლამენტის და უზენაესი სასამართლოს აუცილებელ თანხმობას მოსამართლეთა სისხლისსამართლებრივი დევნის დროს. თუმცა, სამოსამართლო ვადის გასვლის შემდეგ, სისხლისსამართლებრივი ხანდაზმულობის ფარგლებში შესაძლებელი იყო მოსამართლის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება, თუნდაც იმ განაჩენის გამო, რომელიც სააპელაციო და საკასაციო სასამართლოს მიერ იქნა შეცვლილი. ეს განსაკუთრებით საინტერესო იყო იმ ფონზე, როდესაც 2006 წლის 25 აგვისტოს საქართველოს პარლამენტის მიერ სამოხელეო დანაშაულზე დაწესდა 15 წლიანი ხანდაზმულობის ვადა, რომელიც, თავის მხრივ, აღემატებოდა სამოსამართლო საქმიანობის ათწლიან ვადას. ეს შეიძლებოდა საფუძვლიანად გამოეყენებულყო სასამართლოს დისკრედიტაციისათვის.

⁵⁷ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 496-ე მუხლი.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის „სასამართლო დამოუკიდებლობის ძირითად პრინციპები“⁵⁸ (I პრინციპი) მითითებულია, რომ ყველა სამთავრობო და სხვა დაწესებულება მოვალეა, პატივი სცეს სასამართლოს დამოუკიდებლობას.

ევროპის საბჭოს ფარგლებში მიღებული „მოსამართლეთა სტატუსის ქარტიის“⁵⁹ მიხედვით, მოსამართლეთა პირველად პასუხისმგებლობას განსაზღვრავს დამოუკიდებელი ორგანო, რომელიც ხელისუფლების სხვა შტოებისგან არის დამოუკიდებელი (V პრინციპი). პროკურატურისთვის ასეთი უფლებამოსილებების დაკისრება არც ერთ შემთხვევაში არ შეიძლება.

საქართველოს სახალხო დამცველმა მოითხოვა აღნიშნული მუხლის – როგორც სასამართლო ხელისუფლების ხელშემშლელი ფაქტორის – გაუქმება და საკანონმდებლო წინადადებით საქართველოს პარლამენტს მიმართა.⁶⁰ სახალხო დამცველის მონაცემებით, ამ მუხლით დასჯილი იყო 9 მოსამართლე.⁶¹

საქართველოს პარლამენტმა, 2007 წლის 4 ივლისის⁶² ცვლილებებით, 336-ე მუხლი სისხლის სამართლის კოდექსიდან ამოიღო. თუმცა, განსხვავებული მიდგომა აირჩია საქართველოს უზენაესმა სასამართლომ, რომელმაც განმარტება გააკეთა 336-ე მუხლის ამოღების საკითხთან დაკავშირებით ბესიკ გვაჯავას საქმეში.⁶³ ამ სისხლის სამართლის საქმეში ყოფილი მოსამართლე ითხოვდა ახლად გამოვლენილ გარემოებათა საფუძველზე სასჯელის შემდგომი მოხდისგან გათავისუფლებას, რადგან იგი მსჯავრდებული იყო სისხლის სამართლის კოდექსის 336-ე მუხლით.

სასამართლომ განაცხადა:

„2007 წლის 4 ივლისის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში შევიდა ცვლილება, რომლითაც საქართველოს სსკ-ის 336-ე მუხლი (უკანონო განაჩენის ან სხვა სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანა) ამოღებულ იქნა. მართალია, ამჟამად მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსში ამ მუხლით გათვალისწინებული სპეციალური შემადგენლობა აღარ არსებობს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამ ქმედებას აღარ აქვს დანაშაულებრივი ხასიათი და დაკარგა საზოგადოებრივი საშიშროება, ვინაიდან სისხლის სამართლის კოდექსის 336-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული ქმედების დასჯადობას ამჟამად ფაქტობრივად ითვალისწინებს სამოხელეო დანაშაულთა შესაბამისი მუხლები.

მოცემულ შემთხვევაში, მსჯავრდებულ ბ. გვაჯავას მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედება – უკანონო განაჩენის ან სხვა სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანა – დანაშაული, დაკვალიფიცირებული სისხლის სამართლის კოდექსის 336-ე მუხლის პირველი ნაწილით,

⁵⁸ ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <http://www2.ohchr.org/english/law/indjudiciary.htm>

⁵⁹ ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: www.coe.int

⁶⁰ სახალხო დამცველის 2007 წლის მეორე ნახევრის საპარლამენტო მოხსენება.

⁶¹ იხილეთ ვებ-გვერდი: <http://www.ombudsman.ge/index.php?m=8&newsid=640>

⁶² საქართველოს საკანონმდებლო მაცნე N5205.

⁶³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 10 ოქტომბრის განჩინება №283/საზ.

მოიცავს სსკ-ის 332-ე მუხლით გათვალისწინებულ ყველა ნიშანს. კერძოდ, სახეზეა იურიდიული პირის უფლების არსებითი დარღვევა, მიყენებული ზიანი, მოხელის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება საჯარო სამსახურის მოთხოვნის საწინააღმდეგოდ. ამდენად, არ შეიძლება ბ. გვაჯავას მიმართ შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა, რადგან არ მომხდარა მის მიერ ჩადენილი ქმედების დანაშაულებრიობის გაუქმება, ანუ დეკრიმინალიზაცია იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოს სსკ-ის 336-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობა წარმოადგენდა ზოგადი ნორმის — საქართველოს სსკ-ის 332-ე მუხლის სპეციალურ შემთხვევას.

იმ პირის მიმართ, რომელსაც ჩადენილი აქვს საქართველოს სსკ-ის 336-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედება, სისხლისსამართლებრივი დევნა უნდა შეწყდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი მის მიერ ჩადენილი ქმედება თავისი შინაარსით, რაც მოცემულია საბრალდებო დასკვნასა ან განაჩენში ჩამოყალიბებულ ბრალდების ფორმულირებაში, არ შეიცავს საქართველოს სსკ-ის 332-ე მუხლით გათვალისწინებული სამოხელეო დანაშაულის (სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება) ანდა იმავე კოდექსის 333-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება) შემადგენლობას”.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტება შეუსაბამოა დღევანდელ კანონმდებლობასთან. 332-ე და 333-ე მუხლებთან 336-ე მუხლის შესაბამისობა სათუთა და პირდაპირ არ გამომდინარეობს. 336-ე მუხლი დანაშაულად აცხადებდა უკანონო განაჩენის გამოტანას. უკანონობა, თავის მხრივ, მოიცავს ყოველგვარ კანონწინააღმდეგობას მატერიალურ თუ საპროცესო კანონმდებლობასთან. ზოგადად, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა მოსამართლეთაგან მოითხოვს, რომ პროცესი კანონიერების ფარგლებში წარმართონ, მაგრამ ზოგჯერ კანონის წაკითხვა ზემდგომი მოსამართლის მიერ ფასდება უკანონოდ განსხვავებული შეხედულების გამო. აღნიშნული არ შეიძლება იყოს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი და როდესაც კანონმდებელმა გააუქმა არაკონსტიტუციური ნორმა 336-ე მუხლის სახით, შესაბამისი პრობლემაც აღმოიფხვრა. დღეს მოსამართლის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი მხოლოდ და მხოლოდ სხვა სამოხელეო დანაშაულები შეიძლება იყოს. რაც შეეხება მოსამართლის განაჩენს, მის მიმართ მოქმედებს სათანადო რევიზიის მექანიზმები და აღნიშნული სფერო სრულად დამოუკიდებელია სისხლისსამართლებრივი მართლწინააღმდეგობისგან. სამწუხაროდ, უზენაესმა სასამართლომ განაჩენის გამოტანა მოსამართლის უბრალო უფლებამოსილებად მიიჩნია და მის მიმართ გაავრცელა სამოხელეო დანაშაულის ზოგადი მუხლები.

იმ პირობებში, როდესაც საქართველოს პარლამენტმა აშკარად დააფიქსირა მიდგომა, რომლის მიხედვითაც მოსამართლეთათვის სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება განაჩენის ან გადაწყვეტილების გამოტანის ფარგლებში არ უნდა მომხდარიყო, გაურკვეველია უზენაესი სასამართლოს პოზიცია.

მარტივად, რომ ვთქვათ, სასამართლო ხელისუფლებამ თვითონ თქვა უარი თავისივე გარანტიებზე.

მოსამართლის დამოუკიდებლობის გარანტიები ძალიან მყიფე ხდება, როდესაც პროკურორის მიერ შესაძლებელია მოსამართლის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება. უზენაესი სასამართლოს განმარტების საფუძველზე თუ ვიმსჯელებთ, ნებისმიერ წარმატებულ სააპელაციო და საკასაციო საჩივარზე გამოტანილ გადაწყვეტილებაზე პროკურორს შეუძლია სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება, ვინაიდან ნებისმიერი გადაწყვეტილება, რომელიც ზემდგომი სასამართლოს მიერ უქმდება, ეფუძნება ამ უკანასკნელის კანონთან შეუსაბამობას. შესაბამისად, ობიექტურად ყოველთვის შეიძლება სახეზე იყოს მართლწინააღმდეგობა წარმატებული აპელაცია-კასაციის დროს. თუ ძალაში დარჩება სისხლისსამართლებრივი დევნის აღნიშნული შესაძლებლობა, იგი შეიძლება განვიხილოთ, როგორც მოსამართლეზე ზემოქმედების ერთ-ერთი საშუალება. სასამართლოს დაშინება ყოველთვის რეალური იქნება, სანამ მოსამართლეს არ ექნება გარანტია, რომ მის მიერ პროკურატურის პოზიციის გაუზიარებლობა არ იქნება მისი სისხლისსამართლებრივი დევნის საფუძველი იმავე ორგანოს მხრიდან.

იმის საილუსტრაციოდ, თუ რა გავლენის მოხდენა შეუძლია პროკურატურას მოსამართლეთა კორპუსზე აღნიშნული გზით, წარმოგიდგინთ 2006 წელს მომხდარ შემთხვევას, რომელიც, საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტების შესაბამისად, დღესაც აქტუალურია.

2006 წლის 11 ოქტომბერს დადგენილება გამოიტანა საქართველოს გენერალურმა პროკურორმა ზურაბ ადეიშვილმა, რომლითაც, სისხლის სამართლის კოდექსის 336-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის, ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მისცა ხაშურის რაიონული სასამართლოს მოსამართლე კ.კოჭორიძე.

დადგენილების მიხედვით, მოსამართლე კ.კოჭორიძემ უკანონო განაჩენი გამოიტანა, რაც გამოიხატა შემდეგში: 2003 წელს კ.კოჭორიძე დაინიშნა მოსამართლედ 10 წლის ვადით. 2006 წლის 6 ივნისს მოსამართლემ დაიწყო №12060518 სისხლის სამართლის საქმის განხილვა, რომელშიც განსასჯელების ვ.გ-ს და დ.მ-ს მიმართ სსკ-ის მე-200 მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის საკითხი განიხილებოდა. მოსამართლე კ.კოჭორიძემ 2006 წლის 30 აგვისტოს გამოიტანა განაჩენი, რომლითაც განსასჯელები დამნაშავედ ცნო. იმავედროულად, აღსანიშნავია, რომ სისხლის სამართლის კოდექსში 2006 წლის 28 აპრილს შეტანილი ცვლილებით, საპროცესო შეთანხმების დადების გარეშე აიკრძალა პირობითი მსჯავრის, როგორც სისხლისსამართლებრივი ზემოქმედების ღონისძიების გამოყენება. გამომდინარე იქიდან, რომ ქმედება ჩადენილი იყო 2006 წლის 28 აპრილამდე, მოსამართლემ სისხლის სამართლის კოდექსის მე-3 მუხლის მიხედვით (რომელიც ეხება კანონის უკუქაღალის საკითხს), გამოიყენა ნორმა, რომელიც საშელავათო იყო თავისი შინაარსით და ბრალდებულთათვის უკეთეს მდგომარეობას ადგენდა. 2006 წლის აპრილის ცვლილებებამდე, სასამართლოს დისკრეციულ უფლებამოსილებას განეკუთვნებოდა პირობითი მსჯავრის გამოყენების საკითხი და აუცილებელ მოთხოვნად არ იყო განსაზღვრული საპროცესო შეთანხმების დადება. შეტანილი ცვლილებები კი,

განსასჯელების მდგომარეობას აუარესებდა, ვინაიდან პირდაპირ იკრძალებოდა პირობითი მსჯავრის გამოყენების შესაძლებლობა. ამის სანინაალმდეგოდ, საქართველოს გენერალური პროკურორის დადგენილებაში ვკითხულობთ, რომ საპროცესო შეთანხმების დადების პირობა არ იყო ბრალდებულის უფლების გაუარესება და, შესაბამისად, მოსამართლემ გამოიტანა უკანონო განაჩენი, რითაც ჩაიდინა სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობა.

ცალკე საკითხია პროკურატურის არგუმენტაცია. აღნიშნულს პასუხი გაეცა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 13 მაისის გადაწყვეტილებით,⁶⁴ სადაც ვკითხულობთ: „[როდესაც] პიროვნებას, სასჯელის მოხდის ნაცვლად, პირობითი მსჯავრი ეკისრება, ეს არაპირდაპირი ვაგებით სასჯელის შემსუბუქებაზე უფრო მეტი შეღავათის მაჩვენებელია. კანონმდებელი ამ ნორმატიული დანაწესით დანაშაულის სუბიექტს აძლევს შესაძლებლობას, თავიდან აიცილოს სასჯელი. ამიტომაც სასჯელის არაპირდაპირ გამკაცრებად უნდა ჩაითვალოს დანაშაულებრივი ქმედებისათვის პირობითი მსჯავრის გაუქმება მისი ჩადენის შემდეგ, მიუხედავად იმისა, რომ იგი არ არის გათვალისწინებული სასჯელთა სისტემაში... პიროვნებას სასჯელის დაკისრებისას ესპობა ამ სასჯელის შემსუბუქების ის შესაძლებლობები, რაც მას ჰქონდა დანაშაულის ჩადენის დროს, ეს უნდა ჩაითვალოს სასჯელის გამკაცრებად, მიუხედავად იმისა, რომ ცალკე, განყენებულად აღებული, სასჯელი, როგორც ნორმატიული მოცემულობა, შეიძლება იგივე დარჩეს.“ იგივე პოზიციას იზიარებს ვენეციის კომისიაც.⁶⁵ სწორედ ამ უკანასკნელის მოსაზრებას დაეყრდნო საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო და ანალოგიურად განმარტა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლი. შესაბამისად, პროკურატურის გადაწყვეტილება სამართლებრივად გაუმართლებელი იყო.

გარდა სამართლებრივი დაუსაბუთებლობისა, ამ გადაწყვეტილებიდან ამკარად ჩანს, რომ მოსამართლის მიერ კანონის „სადავო“ გამოყენების ფაქტი შეიძლება პროკურორის მიერ უკანონოდ შეფასდეს და მოსამართლის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი გახდეს. მოსამართლე კ.კოჟორიძის საქმე ნათელი ილუსტრაციაა იმისა, რომ სისხლის სამართლის კოდექსის 336-ე მუხლი რეალურად იძლეოდა სასამართლოზე აღმასრულებელი ხელისუფლების მხრიდან ზეგავლენის და კონტროლის განხორციელების შესაძლებლობას. თუმცა, სისხლის სამართლის კოდექსის 336-ე მუხლის გაუქმების შემდეგ, უზენაესი სასამართლოს განმარტება საკმაოდ საშიშია და პროკურატურას აძლევს საშუალებას, მისთვის არასასურველი განაჩენის გამოტანა მიჩნეულ იქნეს მართლსაწინააღმდეგო აქტად, რაც **მოსამართლის დევნის საფუძველი შეიძლება გახდეს**. მოსამართლე კ.კოჟორიძის მიმართ განხორციელებული დევნა ნათლად აჩვენებს, რომ აუცილებელია საერთო სასამართლოების შესახებ კანონსა და საქართველოს კონსტიტუციაში მოსამართლეთა დაცვის შესაბამისი, დამატებითი გარანტიების არსებობა.

⁶⁴ საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქე ელგუჯა საბაური და რუსეთის ფედერაციის მოქალაქე ზვიად მანია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

⁶⁵ ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: [http://www.venice.coe.int/docs/2009/CDL-AD\(2009\)012-e.pdf](http://www.venice.coe.int/docs/2009/CDL-AD(2009)012-e.pdf)

პირველ რიგში, უნდა ვალიაროთ, რომ სრულმა დეკრიმინალიზაციამ შეიძლება მოსამართლეთა შორის დაუსჯელობის შეგრძნება გამოიწვიოს. ამიტომ აუცილებელია, რომ მოსამართლეთა სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებისას დადგენილ იქნეს დამატებითი გარანტიები.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის აზრით, აუცილებელია, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს კანონსა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შევიდეს შესაბამისი ცვლილებები და დადგინდეს, რომ მოსამართლის სისხლისსამართლებრივი დევნა განაჩენთან დაკავშირებით შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ამის შესახებ არსებობს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ან სადისციპლინო კოლეგიის შუამდგომლობა პროკურატურისადმი. ამ შემთხვევაში, საბჭოს უნდა ჰქონდეს იმის უფლება, რომ მან საკუთარი ინიციატივით (რაც, თავის მხრივ, უნდა ეფუძნებოდეს კონკრეტული პირის საჩივარს) ან პროკურატურის შუამდგომლობით მოახდინოს სისხლისსამართლებრივ დევნაზე თანხმობა.

დამოუკიდებელი ორგანო არის აუცილებელი ელემენტი განაჩენის სტაბილურობის უზრუნველსაყოფად. იუსტიციის უმაღლესი საბჭო ან სადისციპლინო კოლეგია, რომლებიც, თავის მხრივ, დამოუკიდებელი სასამართლო ინსტიტუციები არიან, ლოგიკურად შესაძლებელია აღიჭურვონ გადაწყვეტილების წინასწარი შეფასების უფლებამოსილებით და შემდგომ მიმართონ საგამოძიებო ორგანოებს შესაბამისი გადაწყვეტილების გამოტანის უკანონობის გამო. ამ შემთხვევაში, მოსამართლეთა მიმართ იქნება დადგენილი საკმარისი საპროცესო გარანტიები, რაც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს სასამართლოს დამოუკიდებლობას.

დასკვნა

წარმოდგენილ ანგარიშში საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ განხილულ იქნა პრობლემები, რომლებიც დღევანდელი სასამართლოს დამოუკიდებლობის ძირითადი ხელშემშლელი ფაქტორებია. აღნიშნული გარემოებები ინდივიდუალურად არ ქმნის განსაკუთრებულ სირთულეებს მოსამართლეთა დამოუკიდებლობის კუთხით, მაგრამ მათი თანაარსებობა სასამართლოთა საქმიანობის ხელშეშლის საფუძველია, რაც აისახება კიდევ საერთო სასამართლოების საქმიანობის ეფექტურობაზე.

ანგარიშიდან საკმაოდ ნათლად გამოჩნდა, რომ სასამართლო სისტემის სისუსტეები ხშირად თავად სისტემის შიგნიდან მომდინარეობს. ცალკეული მოსამართლეები „მითითებებს“ ყოველ კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით სასამართლოს თავმჯდომარისგან ტრადიციულ შეხვედრებზე, ანუ „მოსმენებზე“ იღებენ. ამ მითითებების დაუმორჩილებლობის შემთხვევებში კი, პროცესში ისეთი მექანიზმები ერთვება, როგორებიცაა მოსამართლისთვის სხვა სასამართლოში უფლებამოსილების დაკისრება, რაც იმას ნიშნავს, რომ შესაძლოა თბილისის საქალაქო სასამართლოს „ურჩი“ მოსამართლე სრულიად უსაფუძვლოდ და დაუსაბუთებლად იქნეს გადასროლილი ყველაზე შორეულ რეგიონულ სასამართლოში განუსაზღვრელი ვადით. აქვე ერთვება შრომის ანაზღაურების სუ-

ბიექტური გარემოებები, დისციპლინური პასუხისმგებლობები შინაგანანესის დარღვევისათვის და თვით სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობაც კი. ამგვარ გარემოში მართლმსაჯულების სამართლიანად აღსასრულებლად მთავარი დატვირთვა მოსამართლის პირად გაბედულობასა და, გარკვეულწილად, „გმირობას“ ენიჭება, ხოლო ამგვარი შინაგანი შემართების არმქონე პირებისათვის სისტემის წინააღმდეგ მოქმედება ფაქტობრივად შეუძლებელი ხდება.

თითქმის ყველა ზემოთ ჩამოთვლილი მექანიზმი თავად საერთო სასამართლოების სისტემაში ხორციელდება გარეშე პირების მინიმალური ჩარევით და, შესაბამისად, მთავარი პასუხისმგებელი პირებიც ის ე.წ. „სამოსამართლო ელიტის“ წარმომადგენლები არიან, რომლებიც ქმნიან პოლიტიკას სასამართლოს შიგნით.

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია იმედს იტოვებს, რომ ჩვენ მიერ ხაზგასმული ხარვეზები და გამოსწორების გზები საზოგადოების მიერ აღქმული იქნება, როგორც სასამართლო სისტემის გაძლიერებისათვის აუცილებელი პირობები და გაჩნდება ამ კუთხით ცხოვრებაში რეალური ცვლილებების გატარების მოთხოვნილება, რათა რეალურად იქნეს უზრუნველყოფილი ყველა ადამიანის ძირითადი უფლება – ისარგებლოს სამართლიანი სასამართლოს მომსახურებით და ამ უფლების რეალიზაციით დაიცვას თავისი სხვა უფლებები და ინტერესები.